# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 დეკემბერი, 2010 წელი.

№232 (6598)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## კიღმარიშვილი თანაპარტიელს ნამუსს წმენდს და „მუნდირის ღირსებას" იცავს თუ?! ②



## მართლა „იყიდა" სააკაშვილმა გაჩეჩილაძე?!.

## რატომ დაყრუვდ-დაბრმავდნენ თბილისის მერიის ხელმძღვანელები?





## ფოტობრალდებები ⑤



## მთავრობამ, ქამარი მოვიჭიროთო, და ხალხს კი წაუჭირა ყელში ③

## პარლამენტს ანტისოციალური გადაწყვეტილების გამო საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლეს ②

## როგორც ჩანს, მალე ჭების ამოთხრა მოგვიწევს ②

## რატომ არ ხერხდება დიალოგის გამართვა საქართველოსა და რუსეთს შორის ⑧

## რატომ ესიზმრება ჩვენს მთავრობას დღედაღამ ინვესტიციები? ⑦

ანუ საქართველოში მილიონერები მიდიან და მოდიან, ღატაკები კი ღატაკებად რჩებიან



## საუკუნეებში გადებული ხიდი,

### ანუ მივიწყებული წარსულის საიდუმლოთ ⑥



შეიძლება თუ არა, შექსპირს სცოდნოდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" არსებობა?

ბრიფინგი

# მართლა „იყიდა“ სააკაშვილმა გაჩეჩილაძე?!.

## კიწმარიშვილი თანაპარტიელს ნამუსს წმენდს და „მუნდირის ღირსებას“ იცავს თუ?!



**გაზეთ „ასავალ-დასავალში“ 13 დეკემბერს ლევან გაჩეჩილაძის შესახებ გამოქვეყნებულმა სკანდალურმა ბრალდებებმა მძაფრი ინტერესი გამოიწვია. ამაოდ ვცდილობდით დილიდან გაჩეჩილაძესთან დაკავშირებას. „ქართულმა პარტიამ“ დღის 5-ის ნახევრისთვის დანიშნა ბრიფინგი, მაგრამ არც აქ გამოჩნდა იგი. საგანგებო განცხადება ეროსი კიწმარიშვილმა გააკეთა.**

**გაჩეჩილაძის** წინააღმდეგ გამოქვეყნებული კომპრომატები ასეთია: მას „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ყველაზე საშინელ დანაშაულში – „ხალხის გაყიდვაში“ ამხელს. სტატიის მიხედვით, ლევან გაჩეჩილაძის საიდუმლო სტუმრობა მიხეილ სააკაშვილთან შავნაბადას რეზიდენციაში 2008 წლის 5-დან 20 იანვრამდე შუალედში შედგაო. გაჩეჩილაძე თავის პირობებს ქაღალდზე წერდა, რომელიც თან არ წამოუღია და სააკაშვილს დაუტოვაო. გაჩეჩილაძე პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ხელის არშეშლის სანაცვლოდ 5 მილიონს თავისი თანამოაზრეებისთვის, ხოლო თავისი თავის ან დავით უსუფაშვილის გაპრემიერებას, გენერალურ პროკურორად თინა ხიდაშელის დანიშვნას და ილია ჭავჭავაძის სახელობის საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად 12 მილიონს ითხოვდაო...

სააკაშვილის ინაუგურაციამ სწრაფად და მშვიდად ჩაიარა. 300 ათასი კაცი იპოდრომზე შეიკრიბა, „ბოლი გაუშვეს“ და დაიშალნენო. გაჩეჩილაძემ პირობა შეასრულა. თუმცა სააკაშვილმა „გადააგდო“ და მხოლოდ ერთ თუ ორ მილიონს დააჯერესო.

**ეროსი კიწმარიშვილმა** მსგავს ინფორმაციას ცილისმწამებლური უწოდა. მეტიც, მან აღნიშნა, რომ ლევან გაჩეჩილაძის მიმართ აგორებული შავი პიარი ნაციონალებმა დასავლურ პიარკამპანიებს შეუკვეთეს. შესაბამისად, სამი სახის ჭორი გაავრცელეს: გაჩეჩილაძე მძიმე სენით არის დაავადებული, ის არის ქურდის ტრადიციების მატარებელი და მესამე, ის გარიგებაში შედიოდა ხელისუფლებასთან.

„ქართული პარტიის“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, რომ ლევან გაჩეჩილაძისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა 2008 წ. იანვარში მართლაც შედგა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ მაშინ მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე და „ეროვნული საბჭოს“ წევრი დავით უსუფაშვილი. ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის შეთანხმებებსა და წინადადებებს ნინო ბურჯანაძე იწერდა, იმისთვის, რომ შეთანხმების შემთხვევაში საპატრიარქოში ილია II-ს თანდასწრებით ორივე მხარე ხელს მოაწერდა. შეხვედრის შემდეგ დანარჩენმა ოპოზიციონერებმა შეთანხმების პუნქტები დაიწუნეს და ხელმოწერაც არ გაკეთდა.

**არავითარ ფინანსურ გარიგებაზე საუბარი არ ყოფილა, ამტკიცებს ეროსი კიწმარიშვილი და ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს. ლევან გაჩეჩილაძე მხოლოდ ღია ეთერს ითხოვს, რაც შეეხება ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას, ის ირწმუნება, რომ ყველა ბრალდების დამადასტურებელი ხელნაწერი აქვს, რომელსაც აუცილებლად საჯაროს გახდის... დაველოდოთ!**

თეა მოსია

საჩივარი

# მიჰყიდიან „ურჩ“ გადამხდელებს სუპერმარკეტებში პურსა და შაქარს?

## პარლამენტს ანტისოციალური გადაწყვეტილების გამო საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლეს

**„ქრისტიან-დემოკრატებმა“ გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ისინი პარლამენტის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომელიც კომუნალური გადასახადების ახალ სისტემას გულისხმობს. ლაპარაკია წლის და დასუფთავებისა და ელექტროენერგიის ერთობლივ გადახდაზე, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს სხვა კომუნალური მომსახურებაც შეუწყდება.**



სარჩელს „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერებთან ერთად ათზე მეტი პირი აწერს ხელს. საკონსტიტუციო საჩივარს სიმბოლურად ერთ-ერთი თბილისელის გია ლეკიშვილის 9-სულიან ოჯახში მოაწერეს ხელი, ხოლო ბათუმში სასამართლოში გიორგი ახვლედიანმა შეიტანა.

პარტიის ლიდერის გიორგი თარგამაძის განცხადებით, ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც ერთიან კომუნალურ საგადასახადო ქვითარს გულისხმობს, არა მარტო ანტისოციალურია, არამედ ანტიკონსტიტუციურიც. **„ეს ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრის პრინციპს, მომხმარებელთა უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, რომ ის სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც ჩვენი საკონსტიტუციო სარჩელი ეყრდნობა, იმის წინაპირობას ქმნის, რომ პროცესი მოვიგოთ. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ვალდებული გახდება, გააუქმოს თავის მიერვე მიღებული გადაწყვეტილება“,** – აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ამბობს, რომ საკანონმდებლო ორგანომ არ დაიცვა მომხმარებელთა უფლებები და მხოლოდ რამდენიმე მონოპოლისტური კომპანიის სურვილი დააკმაყოფილა. **„ასეთი ლოგიკით თუ მივყვებით, შეიძლება სრულ აბსურდამდე მივიდეთ. მაგალითად, თუ ვერ გადავიხდით ელექტროენერგიის გადასახადს, ჩვენი კორპუსის ქვემოთ მდებარე სუპერმარკეტში აღარ მოგვყიდიონ პურსა და შაქარი, თუკი ეს ბიზნესსტრუქტურები შეთანხმდებიან. ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე?! და ეს აბსურდი საკანონმდებლო დონეზეა შეთანხმებული“,** – დასძენს ოპოზიციონერი პარლამენტარი.

პარტიის წევრები იმედოვნებენ, რომ სარჩელის განხილვა მომავალი წლის პირველ ნახევარში დაიწყება და გამარჯვებასაც მიაღწევენ.

ნია ფიფია

რეპორტაჟი

***გორი. შინდისის გზატკეცილი. ყოფილი საწყობების ახალგარემონტებული ორი ორსართულიანი შენობა. შენობები საგანგებოდ დევნილებისთვის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებით ორგანიზაცია „World Vision“-მა გაარემონტა.***

***დევნილების მოსანახულებლად მივდივართ და 2008 წლის ომის ქარ-ცეცხლგადატანილ ადამიანებთან შესახვედრად ვემზადებით. რუსეთ-საქართველოს ომის მერე დევნილებთან შეხვედრა ხშირად გვიწევს, მხოლოდ ბოლო ორ თვეში უკვე მესამედ ვხვდებით მათ და, დაახლოებით, იგივე პრობლემებს ველოდებით.***



# ... და წყალი საიდან მოვიტანოთ, ჭა ამოვთხაროთ?

## მათთვის წინ დევნილობის მესამე ახალი წელია

ასაკოვანი მამაკაცი ეზოში მოწყობილ სახელოსნოში საქმიანობას მცირე ხნით თავს ანებებს და ჩვენ გვეგებება, მაგრამ ის არც პატარა ან დიდი ლიახვის ხეობიდან და არც ცხინვალის რაიონიდან არ არის. ზურაბ მინდიაშვილი ომმა სოხუმიდან გამოდევნა. მას შემდეგ გორში ცხოვრობს.

**„აქ პატარა სახელოსნო მაქვს და სახურავებზე შეკვეთებს ვიღებ. სოხუმში ქარხანაში ვმუშაობდი, კარგი სამსახური მქონდა. ბედნიერად ვცხოვრობდით, სამივე შვილი იქ შემეძინა. სოხუმი 1992 წელს დავტოვე, ერთი წელიწადი ზუგდიდში ვიცხოვრე. მას შემდეგ გორში ვარ. აქ მეორე სართულზე ვცხოვრობთ. ადრე ნახევრად დანგრეული იყო ეს შენობა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შემოვინახეთ და გადავარჩინეთ მთლიანად დანგრევას“,** – ამბობს ზურაბ მინდიაშვილი და მეორე სართულის დერეფანში მიგვიძღვება.

მისაღებ ოთახში ახალგაზრდა ქალი გვხვდება, გულზე ჩვილი ბავშვი ჰყავს მიკრული – ის ოჯახის მეშვიდე წევრია და წარმოდგენაც არ აქვს, რომ დევნილი ჰქვია, თანაც – აფხაზეთიდან. სამაგიეროდ, აფხაზეთი ჯერ კიდევ ახსოვს თითქმის გორში გაზრდილ მამას – ვაჟა მინდიაშვილს. ვაჟა გვიყვება, როგორ დაუფინანსა პროექტი გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა და ჩვენმა დღევანდელმა მასპინძელმა ორგანიზაციამ და როგორ არჩენს ოჯახს პროდუქტების დისტრიბუციით.

მინდიაშვილების სახლს მალე ვტოვებთ – გარეთ ცივა და ბევრი სტუმრის გამო კარი ღიაა. ბინას მხოლოდ ერთი ელექტროგამათბობელი ათბობს, გაზი არ აქვთ, ოთახში კი ორი კვირის პატარაა და არ გვინდა, შესცივდეს.

ოჯახის უფროსს, ზურაბ მინდიაშვილს ვემშვიდობებით. **„კარგად მაშინ ვიქნები, სოხუმში რომ მიგიღებთ და იქ გიმასპინძლებთ“,** – მეუბნება იგი.

მეორე შენობის წინ ახალგაზრდა ქალი მოგვესალმა და სახლში შეგვიძღვა. მაგიდასთან 4 წლის ლიკუნა ზის და ფერადი ფანქრებით რაღაცას ხატავს – სიცხე აქვს და დღეს ბაღში არ წავიდა. დედა – ქეთევან წიქარიძე ცხინვალიდანაა. ცხინვალი 19 წლის წინათ დატოვა.

**„7 წელი ბორჯომში, ნათესავებთან ვცხოვრობდი, ბოლო 12 წელია, გორში ვცხოვრობ, ბოლო დრომდე ნაქირავებ ბინაში ვიყავი. ძალიან მძიმე წლები გადავიტანე. ცხოვრების საუკეთესო წლები დევნილობაში გავატარე და არც ვიცი, როდის შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი“,** – მეუბნება სევდიანი ღიმილით და პატარას თმებზე ეფერება.

ქეთევანის მეუღლეს, გივი წიქარიძეს ავტომობილების კომპიუტერული დიაგნოსტიკისა და შეკეთების სახელოსნო აქვს გორში. ეს პროექტიც ჩვენი მასპინძელი ორგანიზაციის დახმარებით მუშაობს. 6-სულიან ოჯახს ამ საქმით ინახავს. მანამდე ერაყში მსახურობდა, სამხედრო მოსამსახურე იყო და თან მექანიკოსად მუშაობდა. რუსეთთან ომის დროს გამოიწვიეს და სასწრაფოდ დააბრუნეს სამშობლოში, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა ველარ მოასწრო.

**„ერაყიდან 11 აგვისტოს ჩამოვედით, იმ დროს ჩვენი ჯარები უკვე უკან გადიოდნენ“,** – იხსენებს გივი წიქარიძე.

შინდისის გზატკეცილს ვტოვებთ, გორიდან გავდივართ და კონფლიქტის ზონასთან უფრო ახლოს – საოკუპაციო ხაზთან მდებარე ხურვალეთისკენ ვიღებთ გეზს.

ხურვალეთში უნდა ვნახოთ, როგორ უტარებს ტრენინგს ადგილობრივ ფერმერებს „World Vision“-ის ტრენერი.

ხურვალეთამდე ნადარბაზევი უნდა გავიაროთ. ნადარბაზევთან ქართულ საგუშაგოზე გვაჩერებენ და კითხულობენ, ვინ ვართ და სად მივდივართ. დოკუმენტების რეგისტრაცია დაახლოებით 10 წუთს გრძელდება. პოლიციელები გვიხსნიან, რომ ხურვალეთი ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება და ნებისმიერი გადაადგილება უნდა აღირიცხოს.

გზას ვაგრძელებთ. სოფლამდე ხურვალეთის დევნილთა დასახლებაა. გარშემო სქელი ნისლი წევს და ნაცრისფერ კოტეჯებს კიდევ უფრო ერთნაირს ხდის. დასახლებას გავცდით და სოფელში ავედით. სოფელს თავზე მაღლობები გადმოჰყურებს – იქ უკვე რუსი სამხედროები დგანან, ამ მთებს გადაღმა კი, პირველი ოკუპირებული ოსური სოფელია – წინაგარა.

იხ. 4 გვ.

## პარლამენტი

***გუშინ** პარლამენტს ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ესტუმრა. სამუშაო შეხვედრაზე, ჟურნალისტებისთვის დახურულ რეჟიმში, მან ფრაქციათა ხელმძღვანელებს ის ეკონომიკური ცვლილებების პაკეტი გააცნო, რომელიც „ეკონომიკის ახალი კურსის“ სახელითაა ცნობილი და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ ლიბერალიზმს გულისხმობს.*

*რისთვის დასჭირდა ჩვენს ეკონომიკას „ახალი კურსი“, თუ მსოფლიო რეიტინგების მიხედვით, ბიზნესის კეთებისა და ხელშეწყობის მხრივ მხოლოდ წამყვან პოზიციებს ვინარჩუნებდით? ან რატომ გვყავს ამდენი დაჯარიმებული მაღალი გადასახადებით შეწუხებული ურჩი მეწარმე? რა უნდა მოჰყვეს პროცესს, რომელიც მართლაც მიმზიდველად არის დეკლარირებული? — ეს და კიდევ ბევრი სხვა კითხვა დღემდე აწუხებს საზოგადოებას.*

ხელისუფლების ახალი ეკონომიკური კურსის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ლილოში ახალი საბაჟო ტერმინალის გახსნაზე გამოაცხადა. გასულ კვირას კანონპროექტი პარლამენტში შემდეგი სახელწოდებით შევიდა: „კანონი ეკონომიკური თავისუფლებისა და ღირსების შესახებ“, რომლის მიხედვით შეუძლებელი გახდება გადასახადების გაზრდა, თუ ხალხის ნება რეფერენდუმით არ იქნება გამოხატული. „ახალი კურსი“ ასევე ითვალისწინებს საგადასახადო ადმინისტრირების შემსუბუქებას, დარღვევის პატიებასა და წინასწარ გაფრთხილების მექანიზმის შემოღებას, საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედებას, დარიცხვის ისეთი მექანიზმის შემოღებას, როცა ბიზნესმენის შეცდომის გამო საწარმო არ გაჩერდება ან არ დაიხურება და ა. შ.

## ვინ იცრუა, გიორგი თარგამაძემ თუ კახა ბაინდურაშვილმა?

### მთავრობის ახალი ეკონომიკის გეზი



სწორედ ამ დეტალების შესახებ წარადგინა ანგარიში კახა ბაინდურაშვილმა პარლამენტში. შეხვედრიდან გამოსული ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გიორგი თარგამაძე მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო. მისი განცხადებით: **„ეკონომიკის ახალი კურსი“ საკმაოდ პრეტენზიული და ამბიციური დასახელებაა. პრეზენტაცია, რომელიც ბაინდურაშვილმა მოაწყო, მხოლოდ საგადასახადო-საბაჟო პროცედურების სრულყოფას შეეხებოდა. ჩვენთვის, ქრისტიან-დემოკრატებისთვის, ახალი ეკონომიკური კურსი, მათ შორის, ნიშნავს განსხვავებულ საბიუჯეტო სექტორულ პრიორიტეტებს, იქნება ეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება თუ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის სფეროებისა. ამიტომ ამას ვერ დავარქმევთ „ახალ ეკონომიკურ კურსს“. აქ არის მხოლოდ ახალი საბაჟო და საგადასახადო პროცედურების ტექნოლოგიურად შედარებით გამარტივებული სისტემის შემოღებაზე საუბარი, რაც თავისთავად არ არის ცუდი, მაგრამ კარგი იქნება, თუ მოხდება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისადმი მთავრობის მიდგომის გადახალისება და პრიორიტეტების ხელახალი გააზრება“.**

ქრისტიან-დემოკრატებისა და ნაციონალური გუნდის ხედვები ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია. მეტიც, როგორც გიორგი თარგამაძე ამბობს, მის პარტიას კონკრეტული შეთავაზებაც კი ჰქონდა შეხვედრაზე, რაზეც მთავრობამ პასუხი არ გასცა, რაც იმას გულისხმობს, რომ ოპონენტების იდეას ნაციონალები არ გაითვალისწინებენ. **„ქრისტიან-დემოკრატების“ შეთავაზება უკავშირდებოდა იმ მკაცრ ადმინისტრირებას და შედეგებს, რომელიც ქართულ ბიზნესს დაუდგა, როდესაც ზედმეტად მკაცრი და არაადეკვატური სასჯელების, მაღალი გადასახადების, ჯარიმების, სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად ქვეყანაში ბიზნესი დემოტივირებული გახდა. ადამიანებმა დაიწყეს ბიზნესის დაკონსერვება და დახურვა, ეკონომიკური აქტივობის შეჩერებაზე ფიქრი ან შეჩერება. ამიტომ ჩვენი პარტია სთავაზობს მთავრობას შემდეგს: თუკი ძველმა კურსმა არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანა, თუკი დადგა იმის საჭიროება, რომ მეწარმეების მიმართ სახელმწიფო ლოიალური გახდეს, მოდით, ვიყოთ სულგრძელები და ბიზნესში ჩართული ადამიანების მიმართ („კიდობანის“ ისტორია გავიხსენოთ), რომლებიც ერთხელ უკვე დაისაჯნენ, გამოვიჩინოთ ლმობიერება, შევუმსუბუქოთ ჯარიმები, გავუჩინოთ ბიზნესის ხელმეორედ გაგრძელების საშუალება, გადავხედოთ ამ ყველაფერს, შევიწყალოთ ეს ადამიანები, რომელთაც ძალიან დიდი საურავები დააკისრეს. აი, ეს იქნებოდა ახალი მიდგომა ბიზნესისადმი. ჯერჯერობით მთავრობის წევრებისგან დადებითი პასუხი ვერ მოვისმინეთ, მაგრამ იმედი გვაქვს, ჩვენს შეთავაზებას მაინც გაითვალისწინებენ“.**

კახა ბაინდურაშვილის პროექტი მოიწონა საპარლამენტო უმრავლესობამ. მან, მართალია, ბიზნესის განვითარება უპრეცედენტოდ და უწარმატებულესად მიიჩნია საქართველოში, თუმცა აღიარა, რომ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, ისიც აღიარა, რომ არაადეკვატურად მაღალი გადასახადი ხელს უშლის ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას. „ქრისტიან-დემოკრატების“ შეთავაზებაზე კახა ბაინდურაშვილმა კომენტარი არ გააკეთა, იმ მიზეზით, რომ უბრალოდ, სხდომაზე მსგავსი რამ პარტიის ლიდერს არც უხსენებიაო. შესაბამისად ვერ გაიგო ჩვენი კითხვა, რომელიც უკვე დაჯარიმებული ბიზნესმენებისთვის სხვადასხვა სახის სასჯელების შემსუბუქებას შეეხებოდაო.

**ამ მარტივი მაგალითიც კარგად ჩანს, რომ ხელისუფლება მხოლოდ ხმამაღალი განცხადებებით იფარგლება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, საკმაოდ თავშეკავებულია.**

**ნია ფიფია**

## ჩამო(ბურ)ული საქართველო



*„მოინდომეთ, გამორთეთ შუქი, მოაგროვეთ წვიმის წყალი, დაწექით ოჯახურად ერთი საბნის ქვეშ და გადარჩებით! ვინც ვერ გადარჩება, მათთვის აგერ, ვამარტივებთ ევროკავშირში წასასვლელ ვიზებს! ვინც ევროკავშირს ვერ შეწვდებით, მონღოლეთი და კონგო უვიზოდ მიგიღებთ!*

*წააა-დიიით! წააა-დიიით! ბევრი ადგილი უნდა გავანთავისუფლოთ! ბურები მოდიან! ზანგები მოდიან (აბა, ჩვენი ზანგობა არ გინდოდათ)! ჩინელები მოდიან! ესკიმოსები მოდიან! ზანგები — ვაკეში (მერე ვნახავ, ვინ აირჩევს გამყრელიძეს), ესკიმოსები — ყაზბეგში! (მერე ვნახავ ნათელაშვილის გრენლანდიურს), ჩინელები — გურიაში, რომ ჩინური ჩამოასხან! ბურები — კახეთში, რომ საფერავის დაწურვა ასწავლონ. 300 000 ბური რომ ჩამოვა, მერე ვნახოთ, როგორ დაბურავენ ოპოზიციას!“ — გაიგონებთ ირგვლივ, ქუჩაში, ინტერნეტში, ტრანსპორტში. კურდღლის წელიწადისკენ მიისწრაფვის კურდღელივით მფრთხალი, ჩამობურული საქართველო!*

# მთავრობამ, ქამარი მოვიჭიროთო, და ხალხს კი წაუჭირა ყელში

## როცა მზეც ბიუჯეტის, უკაცრავად, „იმათი“ ჯიბეების შესავსებად ანათებს

ახალ წელიწადს ჩვენი მეკვლე გაერთიანებული ქვითრით მოსული გადასახადები იქნება, და მათგან ერთ-ერთს თუ ვერ გადაიხდით, დანარჩენ მომსახურებასაც ველარ ეღირსებით. ხომ კარგი საჩუქარია? უკეთესს ჩვენი ხელისუფლებისგან ვერ წარმოვიდგენდით! მაისის არჩევნებით გაბრუებულთ არც კი გვჯეროდა, თუ ასე მალე დასრულდებოდა ნეტარი დაპირებები — თბილისის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას ვიწყებთო, და გადასახადების მომატებით კი დაიწყეს, გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო, და მაშინვე შეჭირვებულ ფენას მისდგნენ, ამ ერთობ მოძველებული ლოზუნგის საქმედ ქცევა, დედაქალაქის ბიუჯეტის შევსება ამით მოინდომეს.

იმდენი იძახეს, ქამრები უნდა მაგრად მოვიჭიროთ და ხალხისთვის თავგადაკლულებმა ვიზრუნოთო, ბოლოს ქამარი ისევ ხალხს წაუჭირეს კისერში...

ასეთია რეალობა და ვერ გავექცევით! გვეუბნებიან — დღეს თბილისი უკეთესი ქალაქია, ვიდრე 5 წლის წინათ იყოო, უკეთესი განათებით, ქუჩებით, სისუფთავით, ტრანსპორტითა და საბავშვო მოედნებითო...მაგრამ ქუჩები, ტრანსპორტი და საბავშვო მოედნები უფრო გიყვართ თუ ადამიანი? როგორც ჩანს, ადამიანი და მისი უფლებები მეასე ადგილზეა. ერთიანი ქვითრის სისტემა სწორედ ამას ნიშნავს — ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვას. **„ხელისუფლება კერძო კომპანიების ლობისტად მოგვევლინა და არა მოქალაქეთა ინტერესების დამცველად“ (გია ხუხაშვილი).** ეს ერთი დილემაა, მეორეა საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოსაკრებლის ასი პროცენტით გაძვირება... ამაზეც უკვე ლაპარაკობენ. თანდათან ყველაფერი ძვირდება, სამუშაო ადგილები კი არ ჩანს. 2007 წლიდან მსოფლიოში უმუშევართა რიცხვი 30 მილიონით გაიზარდა. საქართველოში არაოფიციალური სტატისტიკით უმუშევრობამ 30 პროცენტს გადააჭარბა, სიღარიბის ზღვარიც ბევრად მომატებულია. და ამ ფონზე გადასახადები იზრდება, თანაც შუა ზამთარში, როცა სინოპტიკოსები არცთუ სახარბიელო ზამთარს გვპირდებიან. წლევანდელი ზამთარი კიდევ უფრო მეტად იმოქმედებს სოციალურად შეჭირვებული ადამიანების ბიუჯეტზე... რაც უნდა ვიძახოთ, უფრო მეტი სამუშაო ადგილიო, ადგილები ციდან არ ჩამოცვივა. უკვე პრეზიდენტიც აღიარებს, რომ თბილისში ყოველი მეოთხე ადამიანი ნაწილობრივ ან მთლიანად დაუსაქმებელია.

ამ ფონზე საგანგაშოა 2011 წლის 93 მილიონით სეკვესტრირებული ბიუჯეტი. საგრძნობლად შემცირდა ჯანდაცვისა და განათლების პროგრამები, სოციალური დახმარებები. სამაგიეროდ, ძალოვანი სტრუქტურების გაბერილი ბიუჯეტი უცვლელია. ექსპერტთა ერთი ნაწილი სვამს კითხვას: **ეს ბიუჯეტი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ხომ არ შეიქმნა?** როდესაც მაისის არჩევნებამდე ხელისუფლება უფასო ჯანდაცვას აპიარებდა, დასაქმებას კი ყველაზე კარგ სოციალურ პროგრამად მიიჩნევდა, ახლა პირიქით ხდება, მარტო ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 8 მილიონითაა შემცირებული, მცირე ბიზნესს კი ჯარიმები ახრჩობს. სად გაქრა წინასაარჩევნო დაპირებების კასკადი? ნაციონალთა ჯადოსნური მთები? აღარავის ახსოვს, რადგან ახლა ყველა და ყველაფერი დაჯარიმების მაგიურ შარავანდედშია გახვეული და ბიუჯეტის შევსების დიად მიზანს ემსახურება. ამბობენ, ამ მიზნით სახელმწიფო საბავშვო ბაღებიც ფასიანი გახდებაო... **რა არის ეს — ზღვარგადასული თავხედობა თუ, მართლაც, სოციალური ტერორი საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ?**

„სააკაშვილი ამ ქვეყნიდან გაგვყრის და ჩვენს ნაცვლად ბურებს ჩამოასახლებს,“ — ამბობენ ხელისუფლებაზე იმედგადაწურული ქართველები. სამხრეთ აფრიკელი ფერმერები მოდიან, ქართველები კი გარბიან! **გაყრა რად უნდათ, თავისით მიდიან შორეულ ქვეყნებში... საზღვარგარეთ ეძებენ სარჩო-საბადებელს.**



ბურებმა ჩვენი მიწათმოქმედება უნდა განავითარონ, აალორძინონ (?!) კახელებს ღვინის დაყენება უნდა ასწავლონ (?!) ჩვენს საუკეთესო მიწებზე უნდა დასახლდნენ ადგილობრივი გლეხკაცის შევიწროვების ხარჯზე.

ის, რომ სოფლის მეურნეობა სულს ღაფავს და გლეხებისთვის ნაკვეთების მოვლა დილემად გადაიქცა, სხვა ვისი, თუ არა ისევ ხელისუფლების ბრალია? საიჯარო გადასახადები გაიზარდა, საუკეთესო სათესლე ჯიშის ხორბალიც ძვირია. თანაც საგადასახადო კოდექსის ახალი ცვლილებებით მიწა დაუმუშავებელი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეები დაჯარიმდებიან. იმის მაგივრად, რომ სახელმწიფო დაეხმაროს გლეხს თუნდაც ფინანსურად, პირიქით ხდება — ანუ უსახსრობის გამო გლეხი იძულებული იქნება, ეს მიწა გაყიდოს იგივე უცხოელზე, ვისაც ფულიც და მაღალი ტექნოლოგიები ექნება ამ მიწის დასამუშავებლად. კახელი ფერმერები, რომელთაც ისედაც უჭირთ მოსავლის რეალიზაცია, ასეთ კონკურენციას ვერ გაუძლებენ და მიწებიც უცხოელების ხელში გადავა. წურვის ეგონება, რომ ბურები აქ ქართველების გულშემატკივრად მოგვევლინებიან, უწინარესად, საკუთარი ბიზნესინტერესებისთვის შემოვლენ.

უცხოეთი და ყველაფერი უცხოური გაფეტიშებულია — ჯერ ხომ ინგლისურენოვანი მასწავლებლები შემოყარეს პარტიაპარტიებად, ახლა ბურებიო. თითქოსდა, ინგლისური ენის სწავლების გარდა საქართველოს სხვა პრობლემა არ ჰქონოდეს...მათ ენასთან ერთად კულტურა და ტრადიციები უნდა შეიტანონ სოფლებში, ენა ჯანდაბას, არ ვიცით, მაგრამ კულტურასა და ტრადიციებს რას ერჩის ჩვენი ხელისუფლება, რომ ამ ე. წ. მოხალისე პედაგოგებმა არ შემოგვიტანონ? გაგიხარიათ და, ეგ არის, ქართველებო — კანადელი, ამერიკელი, ინგლისელი, ავსტრალიელი და ათასი ჯურის ხალხი გაზიარებთ თავიანთ ტრადიციებს, ამათ დაემატებიან ბურები, რომლებიც კახეთს აალორძინებენ და „გაამდიდრებენ“ კულტურით...მერე ბუდას ქანდაკებასაც წამოგვიჭიმავენ რიყეზე, სიონის წინ და... **„დაჰკარით დაფდაფებს, ჯერ ასე ლამაზად არავის უმღერია...მიზანი ერთია, დიდი და ნათელი, ჩვენი მზეც ნათელია!“**

**ზამთარი კი მოვიდა...სიცივით, ციკლონით, გაძვირებული ფასებით... „მიზანი ერთია, დიდი და ნათელი...“ ჩვენი მზე ბიუჯეტის შესავსებად ანათებს!**

**ნატა ნიბლაძე**

◎ რეპორტაჟი

(მეორე გვერდიდან)

# ... და წყალი საიდან მოვიტანოთ, ჭა ამოვთხაროთ?

ჩვენი მასპინძელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს საკლასო ოთახისკენ მივყავართ, რომელიც ერთ-ერთი ადგილობრივის სახლშია მოწყობილი. ადგილობრივ, ჭალარათმიან, ხელებდაკოჟრილ გლეხებს ტრენერი ლექციას უკითხავს და ასწავლის, როგორ უნდა მიიღონ მეტი მოსავალი.

**„და წყალი საიდან მოვიტანოთ, ჭა ამოვთხაროთ?“** – კითხულობს ერთ-ერთი „მოსწავლე“.

**„თუნდაც, ჭა ამოთხარეთ“,** – არის პასუხი.

ეს ერთი შეხედვით, მარტივი კითხვა ხურვალეთში, ისევე როგორც ამ ზონის ყველა სოფელში, ყველაზე მწვავეა. ეზოში შემოსული ახალგაზრდა მამაკაცის ამ თემაზე იწყებს ლაპარაკს.

**„სათბური და მეტი მოსავალი კარგია, მაგრამ ოსებს ტირიფონის არხი ისევ გადაკეტილი აქვთ. უკვე რამდენი ხანია, სარწყავი წყალი არც ჩვენ გვაქვს და არც სხვა სოფლებს. ამ დღეებში მინისტრი იყო ამოსული და ყველაფერი ვუთხარით, მაგრამ ვერაფერს დაგვპირდა. მოსავალზე აღარც ვოცნებობთ. მოსავალი კი არა, ხეხილიც გახმა. ვიდრე შეშას ამოიტანენ, გამხმარ ხეებს ვჭრით და იმით ვთბებით“,** – ამბობს იგი.

კლასში კი გაკვეთილი გრძელდება... ხუროშვილების ეზოს გარეთ გავდივარ და სოფელზე გადმომდგარ მთებს ავყურებ. მთებზე სიმშვიდეა, არავინ ჩანს, არც ხმა ისმის რამე, თითქოს, სრული სიმშვიდეა მთებზეც და მთებს გადაღმაც. ხურვალეთელებს ამ მაღლობებზე ასვლა და შეშის მოჭრაც უნდა შეეძლოთ, მაგრამ ერთი შეხედვით ამ მშვიდ გარემოში ეს შეუძლებელია – იქ იარაღმომარჯვებული რუსი დგას და „სამხრეთ ოსეთს იცავს“. სროლის ხმას სოფელში უკვე მიეჩვივნენ და იციან, რომ ეს უმეტესად სამხედრო წვრთნებს ნიშნავს.

სოფლიდან დევნილთა ჩასახლებაში ჩავდივართ. აქ პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიდან გამოდევნილი 500 ადამიანი ცხოვრობს, ერთნაირ კოტეჯებში, რომლებიც უკვე მეორედ გაურემონტეს.

დასახლებაში ყველას ყოფა თითქმის ერთნაირია – 22-30-ლარიანი დახმარება, კოტეჯის გარშემო რამდენიმე კვადრატული მიწის დაბარვა წვიმის იმედით, მოგონებები მშობლიურ სოფელში მიტოვებულ საკუთარ სახლზე და ომის ქარცეცხლში მიმოფანტულ ახლობლებზე.

ერთ კოტეჯში კი სულ სხვა ვინმეს იხსენებენ. **„ღმერთმა ნათელში ამყოფოს კაჩინსკის სული“,** – ამბობს ქეთევან მახნიაშვილი. მის შვილიშვილს, 17 წლის თემურ მახნიაშვილს სმენის პრობლემები დაბადებიდან ჰქონდა. ომის შემდეგ ბიჭს პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის ინიციატივით პოლონეთში ძვირადღირებული ოპერაცია უფასოდ გაუკეთეს და სპეციალური აპარატის დახმარებით თემურს უკვე ესმის.

**„უკვე ლაპარაკობს კიდეც, მაგრამ ისევ სმენადაქვეითებულთა სკოლაში დაგვყავს – სხვაგან რომ გადავიყვანოთ, გვეშინია, არ დასცინონ და გული არ ატკინონ“,** – ამბობს მერეთელი ქალბატონი ქეთევანი.

ბებია შვილიშვილს განსაკუთრებულად უფრთხილდება – თემურს 29 დღიდან ზრდის. თემურის მამა აფხაზეთის ომში დაიღუპა, დედამ მალევე მიატოვა და მას შემდეგ მის შესახებ არაფერი სმენიათ:

**„ასე ობლობაში გავზარდე, შვილო. დედამისი სად არის, არ ვიცით. ბევრი გასაჭირი გადავიტანეთ. ის 200-ლარიანი დახმარებაც კი არ აგვიღია, ომის დღეებში ერთჯერადად რომ დაურიგეს დევნილებს. კაჩინსკის რომ არ წაეყვანა ჩვენი ბიჭი პოლონეთში, ოპერაციის გაკეთებას როგორ შევძლებდით“.**

სხედან ერთ ოთახში მერეთელი, აჩაბეთელი, ქსუისელი მოხუცები, საუბრობენ და თან ყავაზე გვეპატიჟებიან – უნდათ, ჩვენი სტუმრობით გამოწვეული სიხარული ამ გზით მაინც გამოხატონ. ხურვალეთის ხიზანი დევნილები თითქმის არავის ახსენდება საჩვენებლი მოგზაურობების დროსაც კი – არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის წარმომადგენლებს.

ხურვალეთის შემდეგ ერთი დანიშნულების პუნქტი გვრჩება – შავშვების დევნილთა დასახლება. დაახლოებით 15-წუთიანი მგზავრობის შემდეგ სრულიად იდენტურ გარემოში ვხვდებით – იგივე ფერის კოტეჯები, გამომშრალი და ნაცრისფერი გარემო, უცნაური სიმშვიდე – დევნილთა დასახლების ერთნაირ ქუჩებში სრული, ზამთრის სიჩუმე დგას. ფერიც კი ერთნაირი აქვს ყველაფერს. მხოლოდ საბავშვო საქანელებია ფერადი, ერთი საქანელა უკვე ჩამომტვრეულა.

დასახლებაში ჩამოწოლილ სიმშვიდეს სათემო ცენტრიდან გამოჭრილი მუსიკის ხმა არღვევს – აქ მცხოვრებ ბავშვებს საგანგებოდ დაქირავებული გორელი მასწავლებელი ცეკვას ასწავლის. ბავშვები მონდომებით ვარჯიშობენ – ახალ წლამდე ერთი ცეკვა მაინც უნდა ისწავლონ – წინ დევნილობის მესამე ახალი წელია...

**მანანა მჭედლიშვილი.**

მზია საგანელიძის ფოტო










◎ წკეპლიკები

## გენაცვალეთ ლოგიკაში!

**ხელისუფლების, კერძოდ, პარლამენტის მისამართით ასეთი შეძახილის სურვილი გამიჩინა იმ ინფორმაციამ, რომ თურმე გადასახადების გაზრდის თაობაზე მოსახლეობის რეფერენდუმები ჩატარდება.**

აი ასე, ჯერ ნაირ-ნაირი გადასახადი უნდა გაზარდო, თანაც გვარიანად, შემდეგ უნდა მოგაგონდეს მოსახლეობისთვის, ხალხისთვის კითხვა. მოდი და ნუ გაგახსენდება აქვსენტი ცაგარელის კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინესო“, ანდა ანდაზა – ბავშვი არ დაბადებულიყო და აზრამს არქმევდნენო. დიახ, „დაარქვეს“ გადასახადებს ფულადი სახელები და ახლა აპირებენ კანონის „დაბადებას“... ეგეც არ იყოს, რა რეფერენდუმი სჭირდება ასეთ ამბავს, რომელი ჭკუათმყოფელი მოსახლე წავა გადასახადის გადიდების მომხრე, თუ, რა თქმა უნდა, წინასწარ მოსყიდული არ არის – როგორც არჩევნებზე...

კიდევ ერთხელ გენაცვალეთ ლოგიკაში!..

## გასეირნება პონის ეტლით არა, მაგრამ ელექტრომობილ-ეტლით

**მექსიკის ქალაქიდან (ღმერთო, გამახსენე სახელი – ხინკუნი?), სადაც მე-16 საერთაშორისო „საკლიმატო“ კონფერენცია მიმდინარეობდა საქართველოს დელეგაციის მონაწილეობით, ტელეკადრები გადმოიცა, თუ როგორ მიასრიალებდა ჩვენი მარჯვე პრეზიდენტი ტრასაზე, ამჯერად, ელექტრომობილს და როგორ ემუსაიფებოდა, ამჯერად ქართულად, უკან მსხდარ ერთგულ მინისტრებს – ვერა ქობალიასა და გოგა ხაჩიძეს (ესპანური მგონი არ იციან).**

უფალო შემიწყალე – ასე მალე როგორ დაირტყა, საიდან დაირტყა ეს ელექტრომობილი, მხოლოდ წინა დღეს აგიტირებულ-პროპაგანდირებული? ნუთუ იქ, ადგილზე შეისყიდა და თან წამოიღებს? მერე კიდევ, მგონი ღვედით არ იყო დამაგრებული, ნეტავ იმ მობილში ღვედის გამოყენება არ არის საჭირო?..



სხვათა შორის, იქვე ჩვენმა ტურფა ეკონომისტმაც აუბა ენა-პირი ელექტრომობილის პიარში მიხეილ-ბატონს; აი, გოგამ კი მრავალმნიშვნელოვანი დუმილი არჩია...

ხალხო, სწორად გამიგეთ: მზადა ვარ, რომ ესპანურად მოლაპარაკე პრეზიდენტითაც ვიამაყო და, საერთოდ, იმისი მრავალენოვნებითაც; ავტომობილის, ელექტრომობილის, თვითმფრინავის მმართველითაც; ცხენზე მოჯირითითაც, ზღვაში მოცურავითაც (ეგ კი არა, ვოცნებობ, კოსმონავტის სკაფანდრით როდის ვიხილავძ, ოღონდ კი ქვეყნის ნორმალური მართვა ისწავლოს... მზადა ვარ-მეთქი, „მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი მოუგზავნია ჯოჯოხეთს“? და კიდევ – „ეგ საუბარი მაშინ ხამს, როცა-ღა ვიყო ცნობასა“. ვიქნები კი აქ, დაბეჩავებულ ქვეყანაში, ოდესმე ცნობასა?..

## „ნეტავი ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდინაო“

**ამ გასაცოდავებული ქვეყნის პრეზიდენტი მრავალნაირად ამოძრავებული მინახავს: ხელების მქნევარი, გრძელი, წეროს ნაბიჯებით აჩქარებული, ბავშვებთან ერთად კარუსელზე მოტრიალე, მერანზე მქროლავი; მინახავს ავტომობილის საჭესთან, ელექტრომობილის საჭესთან, თვითმფრინავის შტურვალთან; მინახავს ცხინვალიდან მოქუსვლისას, შავი ზღვის ყურის გადაცურვისას...**

ერთი ვარიანტი დარჩა და იმაზე ვოცნებობ; სახედარზე იყოს უკუღმა გადამჯდარი და იმის მიერვე გასაცოდავებული ქვეყნიდან გაძევებით აჩაქჩაქებული.

**ლუკა გორგაძე**

◎ პოზიცია

## ნანი ბრეგვაძე: მე ახლა ჩემს დირექტორს ვეძებ, რომ ვუთხრა, მოხსნან მოსკოვში გამოკრული აფიშები



**რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში გამოჩნდა აფიშები, რომელიც იუწყება, რომ საქართველოს სახალხო არტისტი ნანი ბრეგვაძე 24 დეკემბერს მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის კულტურის სასახლეში კონცერტს ჩაატარებს. როგორც აფიშებიდან ირკვევა, მომღერალი კომპოზიციებს ალექსანდრე სარიევის აკომპანიმენტის თანხლებით შეასრულებს. კონცერტის სახელწოდებაა „გულის ხმა“ დასაწყისად კი 19:00 საათია მითითებული. ინფორმაცია კონცერტის შესახებ ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც არის განთავსებული.**

**ალნიშნულთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ნანი ბრეგვაძეს დაუკავშირდა და გაირკვა, რომ მას მოსკოვში კონცერტის ჩატარება დაგეგმილი არ აქვს.**

**– მე თანხმობა არ მითქვამს. მე ვუთხარი, რომ** подумаю, и когда я подумала, решила, что я не даю концертов.

**– მაგრამ მათ მაინც გამოაკრეს აფიშები...**

**– გააკეთეს, მაგრამ ეს ალბათ, მათი პოლიტიკის ნაწილია. რომ არ ვიქნები კონცერტზე, მერე რაღას იზამენ?!**

**– თქვენ ალბათ გააპროტესტებთ მომხდარს..**

**– ომი და გაპროტესტება ჩემს ხასიათში არ არის. რას ნიშნავს პროტესტი და რაღაცები? გააკეთეს, მაგრამ წყნარად ჩაივლის ეს ყველაფერი. მე არ ვარ პოლიტიკოსი, არც ნაწყენი ვარ. მათ თუ უნდათ კონცერტის ჩატარება, მე არ მინდა. ისინი უფრო ნაწყენები უნდა იყვნენ ჩემზე, ვიდრე მე. მე ვუფუჭებ მათ საქმეს და ვუშლი კონცერტს. არავითარი პროტესტი.**

**მე ახლა ჩემს დირექტორს ვეძებ, რომ ვუთხრა, მოხსნან ეს აფიშები და რომ ეს არასწორი ინფორმაციაა.**

**– ეს თქვენს იმიჯზე ცუდად ხომ არ აისახება? მსმენელი იმედგაცრუებული დარჩება...**

**– არაფერი უჭირს. არ ვდარდობ, ისინი ჩემზე რას იფიქრებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# რატომ დაბრმავდით, მერიის ხელმძღვანელებო?!



ფალიაშვილის ქუჩაზე (№82) ეს სატვირთო, ძველისძველი „მარშრუტკა“, ათასგვარი ხარახურით დატვირთული, გარევაჭრობის ბოლო აკრძალვის შემდეგაც კი ისე მყარად დგას, ძვრასაც ვერავინ უბედავს. თუმცაღა, ვიდრე საბურავები ჩაჩუტული აქვს, მხოლოდ საპატრულო პოლიციის ამწე თუ „გააქროლებს“ საჯარიმო ავტოსადგომზე...
მ აგრამ, გააქროლებს კი? — გააჩნია ვინ არის პატრონი!



რაფიელ ერისთავის ქუჩაზე (№8), მრგვალ ბაღთან, გარემოვაჭრეს, სახელდახელო „საწყობით“ ტროტუარი ისე აქვს ჩახერგილ-გადაკეტილი, ვერსაიდან აუქცევს გზას. ამას დაუმატეთ ის, რაც კადრში არა ჩანს — ტროტუარზე მიყრილ-მოყრილი მანქანები და... თავად განსაჯეთ რა დღეშია ეს ვიწრო ქუჩა.



დიდიმ მირცხულავას ქუჩაზე (№6), კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის გვერდით, მსგავს სურათს კარგა ხანია შეეჩვივნენ ვაკელები. ამ სატვირთო მანქანიდან იყიდება ყველაფერი, თანაც — ნაგავს ქუჩაში ყრიან!..

მკითხველს შევახსენებთ, რომ 18 ნოემბერს თბილისის ცენტრალური უბნების მცხოვრებლებმა გულისტკივილით სავსე წერილი გაუგზავნეს დედაქალაქის მერს გიგი უგულავას: **„ბაქიბუქის დრო დამთავრდა, ბატონო გიგი, გადადით კონკრეტულ საქმეზე!“** — წერდნენ თბილისელები და გამოწვლილვით მოგვითხრობდნენ დედაქალაქის გულისგულში — ვერისა და ვაკის ზოგიერთ ქუჩაზე გამეფებულ ანტისანიტარიაზე, უწესრიგო გარევაჭრობაზე, აყრილ ასფალტსა და სხვა მრავალ სიმახინჯეზე.

წერილის ავტორები — გრიგოლ გარდაფხაძე, ლევან ქობულაძე, ალექსანდრე ერისთავი და სხვები ბატონ გიგი უგულავას მოკრძალებით სთხოვდნენ რეაგირებას კრიტიკულ შენიშვნებზე, მაგრამ... როგორც ყოველთვის, გიგი უგულავა და მისი ხელქვეითები — თბილისის საქალაქო მეურნეობის სამსახურების ხელმძღვანელები არად დაგიდევენ ხალხის ხმას, აქაოდა, ჩვენ ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებთო!

წერილის გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი თვე გავიდა, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ ბრალდებებს თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკიც კი არ გამოხმაურებია. მოსახლეობის აბუჩად აგდების მეთოდები ამაზე შორს ვერ წავა. ნუთუ თბილისის მერი, ვიცე-მერი, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები, მათი პრესსამსახურები და პრესმდივნები გაზეთებს საერთოდ არ კითხულობენ? თუ, მარტოოდენ „პრაიმტაიმს“ (PrimeTime) კითხულობენ?

ნუთუ, ყველანი დაყრუვდით და დაბრმავდით?

ამას ჰქვია ხალხის მიერ არჩეული მერი და მისი ანტიხალხური გუნდი?!

განა პრინციპულ საზოგადოებას, მებრძოლ ხალხს ასეთი ჩინოვნიკების მოთმენა გვეპატიება?

* * *

რადგანაც გაზეთიდან ვერც ერთ მართალ სიტყვას ვერ ამოშლი, რადგანაც ეს სიტყვა ისტორიას რჩება და შთამომავლობას სჭირდება, ჩვენ ისევ განვაგრძობთ მამხილებელი წერილების (ფოტოებისაც!) გამოქვეყნებას... ვინძლო უფრო მეტი თბილისელი დარწმუნდეს, თუ რა ბედოვლათი „ხელისუფლება“ ჰყავს — როგორ ატყუებენ ხალხს, როგორ ამძიმებენ მათ სოციალურ ყოფას!

აქ წარმოდგენილი ფოტობრალდებები, კონკრეტული მისამართებით, დედაქალაქის მერიის ჩინოვნიკებს, თბილისის „დამამშვენებლებს“ კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ ქალაქის პრესტიჟული უბნების ზოგიერთ ქუჩაზე გამეფებულ სავალალო მდგომარეობას.

**სპარტაკ ქობულია.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ინფორმაცია

## საქართველოს სარკინიგზო სისტემას ახალი ტერმინალი ჩაერთვება

**სანაოსნო** კომპანია „უკრფერი“ და თურქეთის ქალაქ სამსუნის პორტი, ორ ქვეყანას შორის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების შექმნის შესახებ, ერთობლივი პროექტის ინიცირებით გამოდიან.

პროექტის თანახმად, თურქეთის პორტში შეიქმნება თანამედროვე სარკინიგზო ტერმინალი, რომელიც მომავალში ბულგარეთი-უკრაინა-საქართველო (ვარნა-ილიჩევსკი-ფოთი-ბათუმი) სარკინიგზო სისტემებში ჩაერთვება.

შესაბამისი ოქმი მხარეებს შორის თურქეთში, ქალაქ სამსუნში, უკვე გაფორმდა. აღნიშნულის რეალიზება „ტრასეკას“ პროექტის ფარგლებში მოხდება.

პროექტის მონაწილეები იქნებიან ოდესის საზღვაო პორტი და ბულგარეთის სანაოსნო კომპანია, პარტნიორი კი „უკრფერი“, რომელიც სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვების მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების ორგანიზების მიმართულებით იმუშავებს.

## საფოსტო გზავნილების განბაჟება მარტივდება



**ფინანსთა** მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა დეპუტატებს საფოსტო გზავნილების განბაჟების პროცედურის გარტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობასთან და უმცირესობასთან შეხვედრის დროს ბაინდურაშვილმა აღნიშნა, ინტერნეტით პროდუქციის გამოწერა და მისი მიღება უფრო მარტივდება.

მინისტრის თქმით, გამოწერილი პროდუქციის მისაღებად ადრე აეროპორტში უხდებოდათ დახვედრა, ახლა კი უკვე შესაძლებელი იქნება პროდუქცია სახლშივე მიიღონ.

## ახალი სალარო აპარატები მუშაობას გააადვილებს

**მომავალი** წლიდან საგადასახადო სამსახური ახალი სალარო აპარატების შემოტანას გეგმავს.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრებთან შეხვედრის დროს აღნიშნა.



მინისტრის თქმით, მსოფლიოში, კერძოდ კი ევროპაში გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც სალარო აპარატების მეშვეობით თითოეული ამორტყმული ჩეკის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო სამსახურში მიდის, რადგან სალარო აპარატები ცენტრალურ ოფისთან GRAP-ს სისტემით არიან მიბმულები.

— ახალი სალარო აპარატების შემოტანის შემდეგ მათი შემოწმება საჭირო აღარ იქნება საგადასახადო სამსახურის მიერ და მათ მხოლოდ ხარვეზის ან უზუსტობის დაფიქსირების შემთხვევაში შეამოწმებენ, ეს კი მეწარმეს საქმიანობას კიდევ უფრო გაუადვილებს, — აღნიშნა ბაინდურაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას ფინანსთა მინისტრი საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს და ახლა ეკონომიკურ კურსს აცნობს. სხდომა პარლამენტში დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს.

## მოწმობების აღება გამარტივდება

**2011 წლის** პირველი იანვრიდან დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობების აღება მარტივდება.

აღნიშნული დროიდან სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანის დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ელექტრონული შეტყობინებით აცნობებენ, რის საფუძველზეც შემდგომ მოქალაქე ნებისმიერ დროს შეძლებს დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობის მიღებას.

თუ ექიმი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ელექტრონულ შეტყობინებას არ გააგზავნის, ჯარიმა დაეკისრება.

ახალი სერვისის პრეზენტაცია ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გაიმართა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ წიგნის მაგია



# მივიწყებული წარსულის საიდუმლო,



## ანუ შეიძლება თუ არა, რომ შექსპირს სცოდნოდა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის არსებობა

### ფიქრები პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიის – „ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში" – წაკითხვის შემდეგ

**ეს წიგნი (ქართულ-ინგლისურ ენაზე), რომელიც ჩინებულ ფილოლოგს ელგუჯა ხინთიბიძეს 2000 წელს გამოუცია, სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში და, როგორც იტყვიან, სულით ხორცამდე ამაფორიაქა... კიდევ ერთხელ დამარწმუნა რუსთაველის ნასიბრძნის ჭეშმარიტებაში: ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, სად წაიყვან სადაურსა... ამჯერად ეს თვითონ რუსთაველის მართლაც უკვდავ ძნილებას ეხება.**

ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიაში გამოთქმული და შეძლებისდაგვარად დასაბუთებულია ქართული კულტურისთვის სრულიად ახალი აზრი: ვეფხისტყაოსანი გამოყენებულია XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისურ ლიტერატურაში. როგორც ჩანს, ეს აღმოჩენა სრულიად ახალი სიტყვაა ინგლისური სალიტერატურო კრიტიკისთვისაც: შექსპირის თანამედროვე და უშუალო მემკვიდრე დრამატურგების – ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი პიესა („მეფე და არამეფე" და „ფილასტერი"ძ, რომელთა სიუჟეტური წყარო უცნობად ითვლებოდა, ვეფხისტყაოსნის ნესტანის და ტარიელის მიჯნურობის ამბის გადამუშავების შედეგად არის შექმნილი.

ეს აღმოჩენა უშუალოდ დაკავშირებულია ერთ სამეცნიერო პროექტთან (მცირე ერების დიდი კულტურაძ, რომლის ესოდენი წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ბრიტანეთის აკადემიის ერთიანი პროგრამის ფარგლებში ქართველი მეცნიერის ორგზის ხანგრძლივ მივლინებაზე დიდ ბრიტანეთში.

ზემოხსენებულ ინგლისელ ავტორთა ერთ-ერთი პიესის, კერძოდ, მეფისა და არამეფის მოქმედება იბერიაში მიმდინარეობს. ეს რომ ნამდვილად ჩვენი, კავკასიის იბერიაა და არა პირენეის იბერია, იქიდანაც ჩანს, რომ პიესის მთავარი პერსონაჟი – იბერიის ახალგაზრდა მეფე მეზობელი არმენიის მეფეს ამარცხებს... და საერთოდ იმხანად (ცოტა უფრო გვიანაცძ საქართველოს თემა უცხო არ არის ევროპელი ავტორებისთვის (გავიხსენოთ თუნდაც ფილიპ სიდნის „არკადია" ანდა კარლო გოცის „ქალი-გველი" და კარლო გოლდონის „ქართველი მზეთუნახავი"ძ.

ფრიად საგულისხმოა, რომ ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ხსენებული პიესები ჯერ კიდევ შექსპირისავე სიცოცხლეში იდგმებოდა სამეფო თეატრში და მთელი საუკუნე არ ჩამოსულა სცენიდან. ის კი არა, თურმე ამ პიესების ფაბულა ისე იზიდავდა მაყურებელს, რომ, XVII საუკუნის ერთ-ერთი ინგლისელი ავტორის აზრით, ფლეტჩერთან შედარებით თითქოს შექსპირი მოსაწყენიც კია. ხოლო ბერნარდ შოუ ფიქრობს, რომ ბომონტიცა და ფლეტჩერიც, რასაკვირველია, შექსპირთან ვერ მოვლენ, მაგრამ ორივენი დახვეწილი რომანტიკული პოეტები იყვნენ და ოსტატურად შეეძლოთ იუმორისტული ხასიათების შექმნა წმინდა შექსპირული ხალხური სულით...

რახან შექსპირი ვახსენეთ და საქმე ამ შემთხვევაში რუსთაველს ეხება, რომლის ვეფხისტყაოსანსაც თითქმის ოთხასი წლის შემდეგ მიუღწევია შექსპირის სამშობლოსთვის (ალბათ, ევროპული დიპლომატების, მოგზაურებისა და ვაჭრების ხშირი მიმოსვლის საშუალებითძ, აქ არ შეიძლება, რომ თუნდაც გაკვრით, მაგრამ მაინც არ შევეხოთ ძველ ავტორთა დიდად განათლებულობის საკითხს (ასევე, დიდად სამწუხაროდ, ძალიან ბევრი თანამედროვე ავტორისგან განსხვავებითძ, რაც ამ ავტორთა დიდ ცნობისმოყვარეობასა და რაც შეიძლება მეტი ცოდნის შეძენის წყურვილს ეფუძნებოდა...

ბომონტსა და ფლეტჩერს რომ სცნობიათ ვეფხისტყაოსანი, ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიიდან აშკარად ჩანს და, რა თქმა უნდა, შემდგომი კვლევა კიდევ უფრო ნათელს გახდის ამ ამბავს. მით უმეტეს, რომ ავტორს უკვე აქვს ინგლისის დიდ სამეცნიერო ცენტრში მუშაობის გამოცდილება (ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში (ლონდონიძ, ბოდლეის ბიბლიოთეკაში (ოქსფორდიძ და თვითონ შექსპირის არქივსა და ბიბლიოთეკაში, რომელიც ეივონის სტრატფორდშიაძ.

მაგრამ, ალბათ, ბუნებრივად და ლოგიკურადაც გამიჩნდა ის აზრი, რომ თუკი შექსპირის თანამედროვენი იცნობდნენ ვეფხისტყაოსანს, ისეთი პიროვნება და შემოქმედი, როგორიც შექსპირი იყო, განა შეიძლება, რომ ბომონტისა და ფლეტჩერის პიესები სცენაზე ენახა და ამ პიესებისა თუ სპექტაკლების შინაარსს არ დაეგულისყურებინა?!

შეუძლებელია, როგორც რუსთაველს, ისე, მით უმეტეს, შექსპირს, თავიანთი დროის უგანათლებულეს პოეტებს, პირადი წიგნთსაცავები არა ჰქონოდათ და, როგორც რუსთაველის შესახებ, შთამომავლებმა პრაქტიკულად თითქმის არაფერი არ ვიცით არც შექსპირზე; როგორც რუსთაველს, არც შექსპირს დარჩენია ხელნაწერთა დედნები და არც ის წიგნები, რომელთაც ის კითხულობდა ან იყენებდა თავის ნაწარმოებთა შექმნის დროს...

მაგრამ პოეტის ბიოგრაფიის ამ „თეთრ ლაქას" რამდენადმე ავსებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული შექსპირის კომისიის სწავლული მდივნის ი. გილილოვის მიერ შედგენილი შექსპიროლოგიურ კვლევათა კრებულის მასალები, რომელთა მიხედვით თითქმის სრულად შეიძლება იმ სურათის აღდგენა, თუ რას კითხულობდა შექსპირი (ისე, არც რუსთაველს ანდა გურამიშვილს თუ სულხან-საბას აწყენდა ამდაგვარი შესწავლაძ.

აი, მივყვეთ, ი. გილილოვის მასალებს, რომელთა არსებობაც შექსპირის ეპოქაზე საუბარმა წამომაგონა... ვნახოთ, რას კითხულობდა შექსპირი...

მწერლის დაკარგული წიგნთსაცავის საპოვნელად მკვლევართ მიმართეს უკუსვლის ხერხს, ანუ თვითონ მწერლისავე შემოქმედებაში დაუწყეს ძებნა დაკარგულ წიგნთსაცავს და მეტ-ნაკლებად მიაღწიეს კიდეც მიზანს.

შექსპირის ნაწარმოებთა გულმოდგინე შესწავლამ ნათელი გახადა, რომ ის იყო არა მარტო გენიალური შემოქმედი, არამედ უაღრესად განათლებული მწერალი, რომლის თუნდაც მარტო აქტიური ლექსიკონი სამჯერ და ოთხჯერ აღემატება იმ დროის სხვა მწერალთა ლექსიკონს, ხოლო იმ თხზულებათა სიას, რომელთაც ის სხვადასხვა ენაზე იყენებდა, 8 ტომი დასჭირდა.

კვლევამ ცხადყო, რომ შექსპირმა იცოდა ფრანგული, ლათინური, იტალიური ენები, შეეძლო ბერძნულად კითხვა. „ჰენრიხ V" ერთ-ერთი სცენა მთლიანად დაწერილია ფრანგულად, ხოლო ამ პიესაში სულ დაახლოებით 100 სტრიქონი გამართულ ფრანგულზეა დაწერილი. ცალკეული ფრანგული, იტალიური, ლათინური სიტყვები და ფრაზები მიმოფანტულია მწერლის ბევრ პიესაში. „ჰამლეტის" სიუჟეტი აღებულია ფრანგი მწერლის ბელფორეს „ტრაგიკული ისტორიიდან", რომელიც ინგლისურად მხოლოდ 100 წლის შემდეგ ითარგმნა. „ოტელოსა" და „ვენეციელი ვაჭრის" სიუჟეტები, უამრავი დეტალის ჩათვლით, გადმოღებულია ჯირალდი ჩინტიოსა და ჯოვანი ფიორენტინოს იტალიური ნოველების კრებულებიდან, რომლებიც ინგლისურ ენაზე ასევე მხოლოდ XVIII საუკუნეში ითარგმნა. დადგენილია, რომ შექსპირი იცნობდა რაბლეს,




Title page of A King and No King quarto of 1619. (Reproduced by permission of the Houghton Library, Harvard University.)

„მეფის და არამეფის" პირველი გამოცემის (ლონდონი, 1619 წ.) სატიტულო გვერდი.

მონტენს, რონსარს, არიოსტოს, ბოკაჩოს, ბანდელოს ნაწარმოებთ. „ორი ვერონელის" სიუჟეტი აღებულია მონტემაიორის ესპანური პასტორალური რომანიდან, რომელიც შექსპირის პიესის გამოჩენამდე ინგლისურად არ გამოქვეყნებულა.

ეჭვს არ იწვევს შექსპირის მიერ ბერძნულ- რომაული მითოლოგიის, ლიტერატურისა და ისტორიის ცოდნა, ის ხშირად იყენებდა ჰომეროსის, ოვიდიუსის, ლივიუსის, სენეკას, პლუტარქეს, აპიანეს და სხვათა თხზულებებს, თანაც არა თარგმნილს, არამედ დედნით, რის სარწმუნებლადაც საკმარისია მწერლის რომაული ციკლის პოემების, პიესების და თუნდაც „ტიმონ ათენელის" წაკითხვა.

დღეს უკვე დადგენილია შექსპირის მიერ კლასიკური ანტიკური და ისტორიული პერსონაჟების გამოყენების 260 შემთხვევა. განსაკუთრებით ვრცელია იმ ნაწარმოებთა ნუსხა, რასაც ის ინგლისურად კითხულობდა. თავისი ისტორიული პიესების შექმნის დროს ის იყენებდა ჰოლინშედის „ქრონიკებს", ჰოლის, გრაფტონის, ფაბიანის, სტოუნის ნაწარმოებთ, იცნობდა კელტურ თქმულებებს მეფე არტურსა და „მრგვალი მაგიდის" რაინდებზე, ჩოსერის, ჰაუერის თხზულებებს, თვალყურს ადევნებდა ლიტერატურას მოგზაურობასა და გეოგრაფიულ აღმოჩენებზე, კითხულობდა თავის თანამედროვე პოეტებსა და დრამატურგებს (რასაკვირველია, ბამონტსა და ფლეტჩერსაცძ, კარგად ერკვეოდა წმინდა წერილებში.

უკანასკნელი ასორმოცდაათი წლის გამოკვლევებმა გამოავლინეს შექსპირის დიდი განსწავლულობა იმ დროის ინგლისის ისტორიაში, იურისპრუდენციაში, რიტორიკაში, ბოტანიკაში, მედიცინაში, სამხედრო და საზღვაო საქმეშიც კი. შექსპირის ნაწარმოებებში მკვლევართაგან აღრიცხულია 124 ადგილი, დაკავშირებული იურისპრუდენციასთან, 172 ადგილი – საზღვაო საქმესთან, ხოლო 192 ადგილი მოწმობს მწერლის მიერ სამხედრო საქმის ცოდნასა და იმისავე გამოცდილებას, სიტყვა „მუსიკა" და მუსიკასთან დაკავშირებული სიტყვები გვხდება 170-ჯერ. შექსპირის ნაწარმოებებში გამოვლენილია 196 ადგილი, სადაც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ ატარებდნენ დროს იმჟამინდელი ტიტულოვანი ლენდლორდები, რას თამაშობდნენ, როგორ ერთობოდნენ ისინი. მწერალს წვლილად, დიდი ცოდნით აქვს აღწერილი ზეპურთა იშვიათი და ძვირადღირებული ნადირობანი შევარდნებითა და მწევრებით, არ გამორჩენია აგრეთვე არც ჩოგბურთი. ბოტანიკოსთა დაკვირვებით, შექსპირის გმირები იყენებენ 63 დასახელების ბალახებს, ყვავილებსა და ხეებს.

გაოცებას იწვევს აგრეთვე შექსპირის მიერ ჩრდილოეთ იტალიის არა ერთი და ორი ქალაქის ზედმიწევნილი ცოდნა, მწერლის ზოგიერთი ბიოგრაფის ვარაუდით იგი ამ ქალაქებში ნამყოფიც კია. ეს ქალაქებია (უფრო სწორად, შექსპირის პიესების მოქმედებათა ადგილებიაძ ვენეცია, პადუა, ვერონა, მილანი, მანტუა. შექსპირის გმირები, არცთუ იშვიათად ფრიად წარჩინებულნი, უკიდურესად დახვეწულ, უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელ წრეს განეკუთვნებიან. ძლიერთა ამა სოფლისათა უაღრესად დახვეწილი ფილოსოფიური საუბრები სავსეა მოსწრებული ზმური სიტყვა-პასუხებით, ეშმაკური კალამბურებით, ილუზიებითა და უცხოენოვანი ფრაზებით...

მკვლევართა მიერ შედგენილი ამ მოკლე ჩამონათვალითაც აშკარაა, თუ რა უზარმაზარ ეპოქალურ შემოქმედთან გვაქვს საქმე შექსპირის სახით. თანაც ნუ ვიგულმავიწყებთ, რომ ინგლისში საკადრო წიგნთსაცავები XVI საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა!

და ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება შექსპირის წარმოდგენა ისეთ ადამიანად, რომელსაც არ ეცოდინებოდა, რომ პირენეის იბერიის გარდა, არსებობდა კიდევ მეორე, კავკასიის იბერია, სადაც დაიწერა ის ვეფხისტყავმოსხმული რაინდის პოემა, აგრე ოსტატურად რომ მოივარგეს თავიანთ პიესებში ბომონტმა და ფლეტჩერმა, თვითონ შექსპირის თანამედროვეებმა, რომელთაც იქნებ უფრო დაწვრილებითაც გააცნეს ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბავი „რომეოსა და ჯულიეტას" ფრიად და ფრიად ცნობისმოყვარე ავტორს...

მოდი და, უკეთუ ადამიანს ლოგიკის ნატამალი შეგრჩენია, ნუ ირწუნებ ამის მერე ქვეყნად ეგების ყოვლის უფრო დიდ მაგიურ ძალას, საუკუნეთა მთელ თვალუწვდენელ სიგრძეზე კაცობრიობის ნააზრევის მარადიულ ცოცხალ განძად შემკრებს, რომელსაც სულ ორადორმარცვლიანი სიტყვა – წიგნი ჰქვია.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე უკვე ნამდვილად მჯერა, რომ ასაკით მაშინ უკვე ოთხი საუკუნის რუსთაველი უთუოდ შეხვდა მაშინ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის კარიბჭესთან მიმდგარ შექსპირს...

და, თვითონ შექსპირისა არ იყოს, ეს შეხვედრა რა გასაკვირია, როცა მართლაც ბევრი რამ ხდება ამქვეყნად ისეთი, რაც ყველაზე უფრო ბრძენთა ბრძენ ფილოსოფოსთაც არ დასიზმრებიათ.

დასასრულს კი ახალი, ქონიერი და გონიერი ქართველების გასაგონად და საქვეყნო საქმისთვის შესაგულიანებლად კეთილი სიტყვით უნდა მოვიხსენიო ახალგაზრდა ბიზნესმენი ჯუმბერ ხატიაშვილი, რომელიც გვერდით მაშინ დასდგომია პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძეს, როცა ამ ადამიანის მიერ დაფუძნებული ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი ფინანსური სიდუხჭირის გამო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ყოფილა. და სწორედ ამ თანადგომის შედეგად „ქართველოლოგიური სკოლის ფონდის" ბაზაზე შექმნილა პროექტი – მცირე ერების დიდი კულტურა, რომელი პროექტის განხორციელების გზაზეც მომხდარა სრულიად სხვადასხვა დროის ამ ორი ბუმბერაზი ჰუმანისტის ზემოხსენებული სავარაუდო შეხვედრა.

როგორც ჩანს, წინ ჯერ კიდევ ბევრი, ბრძენთა ბრძენ ფილოსოფოსთათვისაც დაუსიზმრებელი ამბები გველოდება...

აი, ასეთი თამამი ფიქრები ამოშალა უცილოდ თამამი ქართველი მეცნიერის უცილოდვე თამამი, მაგრამ ჯანსაღი ფანტაზიით ნასაზრდოებმა წიგნმა, რომელიც ძველ კულტურათა შორის დროში სარწმუნო ხიდის გადების არცთუ ფანტასტიკურ ცდად წარმოესახა.

**გურამ გოგიაშვილი.**
12/XII, 2010 წ.

*P. S. არ ვიცი, ვის, როდის, სად, მაგრამ ნამდვილად მსმენია, რომ ერთ-ერთი ჩვენებური მწერლისთვის მავანსა და მავანს უკითხავს, ამ ბოლო დროს ვისი რა წაიკითხე და, საერთოდ, რა წიგნებს კითხულობო, და იმას, კითხულ მწერალს, თითქმის შეურაცხყოფილს უთქვამს პასუხად, მე მწერალი ვარ და არა მკითხველიო, სულ ვწერ, კითხვისთვის დრო აღარ მრჩებაო...*
*ეს ისე, სხვათა შორის...*

გ.გ.

ცრუმოლოდინი?

***როცა ხალხმა ეს ანდაზა, — მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო, — შეთხზა, მაშინ, რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ოდესმე საკუთარი მთავრობა მელიის როლში მოევლინებოდა (თუმცა ის ხშირად არც მგლის როლს თაკილობს), რომელსაც არა მარტო მძინარეს, მღვიძარ მაძღარსაც ნიადაგ ინვესტიციები დაესიზმრებოდა. ამიტომაც დარბიან მის მოსაძიებლად ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერი პლანეტის მთელ მერიდიანზე — შორეულ ჩინეთსა თუ ინდონეზიაში, აფრიკისა თუ არაბეთის ცხელ ქვეყნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკონომიკის მიამიტ მინისტრზე, რომელსაც მდგრადად მძინარესაც კი თურმე სულ ვარდისფერ-ზამბახისფერი ინვესტიციები ესიზმრება.***

# მთავრობას დღედაღამ ინვესტიციები ესიზმრება

## *საქართველოში მილიონერები მოდიან და მიდიან, ღატაკნი კი ღატაკად რჩებიან*



ვერც გაამტყუნებ, ადამიანები, რომლებსაც ქვეყნისა და ხალხის ბედი აბარიათ, აბა ინვესტიციების ნაცვლად პირად ფუფუნება-კეთილდღეობაზე ხომ არ იფიქრებენ? სწორედ ინვესტიციებია ის ძირითადი პრიორიტეტი, რომელმაც მათ მიერ სათუთად ნაგები ეკონომიკა დანგრევას უნდა გადაარჩინოს და ამიტომაც მის მოსაზიდად ყველა ხერხსა და საშუალებას იყენებენ. ქვეყანაში ოღონდ ინვესტორი გამოჩნდეს თავის მილიონიან-მილიარდიანი ტომრებით და არაფერს დაიშურებენ, ყველაფერს ჩალის ფასად მიყიდიან, სულაც უფასოდ მისცემენ მიწას, წყალს, დენს, მთელი 15 წლის მანძილზე არ გადაახდევინებენ ქონებისა და მოგების გადასახადს. ერთი სიტყვით, თქვას რა უნდა და ყველა სურვილს წვეთწვეთად აუსრულებენ.

ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები, თორემ მთლად გადარეულ-შარახვეტიები კი არ არიან, ინვესტორს მუქთად აძლიონ ყველაფერი და თანაც ტუჩები დაუკოცნონ. წლეულს მთავრობა ეკონომიკის 6-პროცენტიან ზრდას რომ ელოდება, სწორედ უცხოური ინვესტიციების იმედად არის, თორემ მარტო გადასახადებისა და ჯარიმების ზეწოლით ბიზნესისგან რა შემოსავლებს უნდა ელოდეს. თანაც, ახლა, როცა გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთთან „მოგებული ომის“ შემდეგ ქვეყანაში ინვესტიციების ნაკადი კატასტროფულად დაეცა. თავად განსაჯეთ, თუ 2007 წელს ქვეყანაში 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა, 2008 წელს ის 1,563 მილიარდამდე შემცირდა. 2009 წელს ინვესტიციებმა მხოლოდ 658,4 მილიონი დოლარი შეადგინა, წლევანდელ ორ კვარტალში კი — 272,5 მილიონი.

წინასწარი გათვლებით, წლის ბოლომდე 1,2 მილიარდამდე უცხოური კაპიტალი უნდა შემოსულიყო, თუმცა ამ დრომდე არსებული ინფორმაციით, ინვესტიცია გაცილებით ნაკლები — 700-750 მილიონი დოლარის ფარგლებში იქნება. სწორედ ამიტომ აწრიალდა მთავრობა და დიდპატარიანად, პრეზიდენტ-პრემიერ-მინისტრიანად, ინვესტიციების მოსაძიებელ-მოსაპოვებლად მთელ მსოფლიოს მოედო. თუმცა იმის გამო, რომ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებს გლობალურმა კრიზისმა თავად შეუქმნა პრობლემები, საქართველოს მთავრობა, როგორც ყოველთვის, ახლაც არ დაიბნა და გეზი სასწრაფოდ ჩინეთისა და ინდოეთისკენ აიღო. ამ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის გავლენა, რამაც დასავლეთი დეპრესიამდე მიიყვანა, უმნიშვნელოა. ამიტომაც გაუჩნდათ მათ ინტერესი სხვა ქვეყნებში კაპიტალის დაბანდებისა. ჩვენმა მთავრობამაც სასწრაფოდ შეაგება თანხმობა ჩინელებს ლილოს ტერიტორიაზე 100 ჰექტარი მიწის გამოყოფაზე, სადაც ისინი დიდი სავაჭრო კომპლექსის აშენებას აპირებენ. პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ჩინეთიდან უახლოეს მომავალში რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიციას ელოდება. მოლოდინი აქვთ ინდოეთიდანაც, რომელსაც კაპიტალის დაბანდება გაზის მოპოვებასა და ხუდონჰესის მშენებლობაში სურს. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით მხოლოდ დაპირების დონეზეა.

რამდენად რეალურია ხსენებული ინვესტიციების საქართველოში განხორციელება, ხომ არ არის ის მხოლოდ დაპირება და, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ცრუმოლოდინი? ამ კითხვაზე პასუხი ახლო მომავალში გვეცოდინება. მაგრამ მარტო ეს რომ იწვევდეს ეჭვს, კიდევ რა გვიჭირდა. არანაკლებ საჭოჭმანოა მეორე კითხვაც — როგორ გამოიყენა ხელისუფლებამ ქვეყანაში უკვე შემოსული ინვესტიციები? ან, საერთოდ, იყო კი ის ინვესტიცია, რასაც ჩვენი მთავრობა ინვესტიციას უწოდებს?

ინვესტიცია, როგორც წესი, გამიზნული უნდა იყოს იქითკენ, რომ უცხოური კაპიტალი უშუალოდ წარმოების გაფართოებაში, ახალი საწარმოების აშენებასა და ძველის რეაბილიტაციაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის დასაქმებაში დაბანდდეს. **ჩვენთან როგორ ხდება? ინვესტიციები დროებით (ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან გარიგებით) ყიდულობენ რომელიმე ამორტიზებულ საწარმოს არა იმისთვის, რომ მას რეაბილიტაცია გაუკეთონ, არამედ იმისთვის, რომ იქიდან რაც ვარგისია, გაყიდონ, ფული მოიგონ და ჯიბეგასქელებული წავიდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია რუსთავის მეტალურგიული ქარხანა (სხვაც ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ), რომელმაც, როგორც მახსოვს, 4 თუ 5 ინვესტორი გამოიცვალა, მაგრამ იმათგან არც ერთი არ გამოდგა რეალური ინვესტორი. ყოველმა მათგანმა საწარმოში ფული კი არ ჩადო, პირიქით, ამოიღო, ქარხანა ჯართად აქცია, საზღვარგარეთ გაზიდა, მილიონები დაითრია და დაგვემშვიდობა.** არის სხვა ვარიანტიც, ინვესტორი ყიდულობს უძრავ ქონებას, რაღაც ცარიელ შენობას, რომელსაც გადააკეთებს ან ანგრევს და მის ადგილზე ახალს აშენებს. ეკონომიკის ამ სექტორში რაღაც სამუშაო ადგილები იქმნება, მაგრამ ეს არ არის გრძელვადიანი. ამიტომ ტრადიციულ დარგებში (მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობაძ, რომლებიც ორიენტირებული არიან პერსპექტივაში დიდი რაოდენობით ხალხის დასაქმებაზე, ინვესტორები, როგორც წესი, არ მიდიან.

რა ზომებს იღებს ხელისუფლება იმისთვის, რომ ქვეყანაში სწორი საინვესტიციო პოლიტიკა განხორციელდეს? ამ კითხვაზე პასუხი დღევანდელ მთავრობას არ მოეპოვება. როგორც უკვე ვთქვი, **ის მთელ მსოფლიოში პირაქაფებული დარბის ინვესტიციების მოსაზიდად, მაგრამ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს კაპიტალი ეკონომიკის რეალურ ზრდას, წარმოების გაფართოებას, ხალხის დასაქმებასა და მისი კეთილდღეობის ამაღლებას მოხმარდეს, ნაბიჯსაც არ დგამს. ამიტომაც არის, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში გაზრდილი ინვესტიციების მიუხედავად, საქართველოში უმუშევრობა იზრდება და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობა მცირდება.** ფაქტებს სად გავექცევით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2004 წელს ქვეყანაში 499,1 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, 2005 წელს — 449,8, 2006 წელს — 1.190,4, 2007 წელს — 2014,8, 2008 წელს — 1.563,0, 2009 წელს — 658,4, მაგრამ იმავე „საქსტატის“ მონაცემებით, 2004-2009 წლებში საქართველოში უმუშევრობის დონე 12,6 პროცენტიდან 16,9 პროცენტამდე გაიზარდა. ეს „საქსტატის“ შელამაზებულ-მოკრძალებული მონაცემებით, თორემ რეალურად უმუშევრობა ქვეყანაში კაი 50-60 პროცენტსაც უკაკუნებს(!ძ.

ძნელი სათქმელია, აღწევს თუ არა ამ კაკუნის ხმა ინვესტიციებზე მარბენალ ხელისუფალთა კაბინეტებამდე, მაგრამ ხალხის მოთმინების ჯებირი თუ გაირღვა, ვის ეზოებს დამეწყრ-დატბორავს, ამის მიხვედრა მაინც არ უნდა გაუჭირდეთ. ხელხვავიანად მოზიდულმა ინვესტიციებმა მავანთა და მავანთა ჯიბეებში ბამბა რომ აჩხრიალა, ხოლო ხალხისაში — კაკალიც არა, არა მგონია, წარმატებული ფინიშით დასრულდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისძ 04; 38-40-65, 37-78-91 (საავარიოძ;
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩეროძ.
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზიძ; 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახურიძ; 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტიძ.
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზიძ; 43-81-78 (კანცელარიაძ.

## ყველა ზარი ხელსაწვდომ

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი — ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღებიძ.
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზიძ.
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაციაძ; 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანაძ.
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილებაძ.
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარიაძ; 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახურიძ.
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურაძ.
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგეძ.
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# წინააღმდეგობრივი საქართველო: დაიწყოს დიალოგი მოსკოვთან და გამოააშკარაოს რუსი ჯაშუშები

**სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ცვალებადობამ თავისი გამოსახულება პოვა სიტუაციაში, რომელიც გაჩაღდა უკანასკნელ პერიოდში მოსკოვსა და თბილისს შორის.**

შაბათს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა 6 კაცის დაპატიმრების შესახებ, რომლებსაც ბრალი ედებათ აფეთქებების სერიის ორგანიზებაში, რაც მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში მოხდა ვაკეში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საქართველოს „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისის მახლობლად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიით, დაპატიმრებულები მოქმედებდნენ რუსეთის არმიის ოფიცრის, დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლის ევგენი ბოროსოვის ბრძანებით, რომელიც იმყოფებოდა საქართველოსგან გამოყოფილ აფხაზეთის ტერიტორიაზე. რუსეთის მხარე თავის მონაწილეობას თბილისში განხორციელებულ აფეთქებებში უარყოფს.

ეს პირველი ბრალდება როდია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მხარის დივერსიულ საქმიანობაში. დაახლოებით ერთი თვის წინათ საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა არალეგალების ათობით აგენტის გამოაშკარავების შესახებ, რომლებიც თითქოსდა ემსახურებოდნენ რუსეთის სამხედრო დაზვერვას.

მაგრამ, მიუხედავად თავისი კონფლიქტური სიტუაციისა, საქართველომ არ დაიწყო მოსკოვისთვის ბრალდების წაყენება აფეთქებების ორგანიზებაში, პირიქით, სთხოვა მას დახმარებაც (ქ მაიორ ბორისოვის დაკითხვაში, რომელიც აფხაზეთში იმყოფება).

მეტად დამახასიათებელი ტრენდია, რომელიც აჩვენებს საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილებებს, რომელიც 2008 წლის ომიდან პირველად ცდილობს დაიწყოს დიალოგი მოსკოვთან, თუნდაც ერთობ საეჭვო ხერხით. არსებითად, ოფიციალურ თბილისს, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არც აქვს.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობანი მტკიცდება, გადის თანამშრომლობის ახალ დონეზე, ეს კი ნიშნავს, რომ დასავლეთი, მიუხედავად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა, არ დაიწყებს კონფლიქტის რომელიმე მხარის მხარდაჭერას.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია პრინციპულად აცხადებს უარს არჩევანზე რუსეთთან კარგ ურთიერთობასა და საქართველოს შორის, ანდა საქართველოსთან კარგ ურთიერთობაზე რუსეთის ხარჯზე, განაცხადა ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მთავარმა მრჩეველმა რუსეთის საკითხებში მაიკლ მაკფოლმა.



ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის „გადატვირთვის“ შედეგი გახდა კლიმატის გაუმჯობესება რუსეთსა და ევროკავშირს და რუსეთსა და ნატოს შორის, რაც მთლიანად წარმოაჩინა ნოემბრის ბოლოს ლისაბონში გამართულმა ალიანსის სამიტმა. მაშინდელმა შეხვედრამ დაადასტურა ბლოკისა და რუსეთის ფედერაციის ერთობლივი მოქმედების აუცილებლობა ავღანეთში, განამტკიცა ერთიანი ფრონტი ირანის წინააღმდეგ და დაადასტურა ახალი შეთანხმებანი რუსული და ევროპული სისტემების ურთიერთმოქმედების შესახებ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხში.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი ფორმალურად მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში შესვლას, სინამდვილეში თბილისს ალიანსში შესვლის პერსპექტივები უახლოეს პერიოდში, პრაქტიკულად არ გააჩნია.

სააკაშვილმა სტრასბურგში და ასტანაში დეკემბრის დასაწყისში ეუთოს სამიტზე გამოსვლების დროს განაცხადა, რომ არ იბრძოლებს „20 პროცენტი ოკუპირებული ტერიტორიების“ დაბრუნებისთვის ამ რესპუბლიკების რუსეთის მიერ აღიარების შემდეგ. ამას გარდა, საქართველოს ლიდერმა საჯაროდ მოუწოდა მოსკოვს დიალოგისკენ. ძალის გამოყენებაზე ღია უარი და მოწოდება დიალოგისკენ არის დიპლომატიური მესიჯი, რომელმაც უნდა განამტკიცოს თბილისის პოზიციები დასავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებსა და ვაშინგტონში.

ამას გარდა, იმის სურვილით, რომ მოაწესრიგოს დიალოგი მოსკოვთან, თბილისი ცდილობს, გამოიყენოს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის ფაქტორი. საქართველოს აქვს უფლება დაბლოკოს რუსეთის ფედერაციის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც მომავალი წლის დასაწყისში უნდა მოხდეს.

მაგრამ, მიუხედავად რამდენიმე ნაბიჯისა შერიგებისკენ, რაც თბილისმა გადადგა, მოსკოვი ჯერჯერობით არ არის მზად განიხილოს სამხრეთ კავკასიელ მეზობელთან დიალოგის შესაძლებლობა. შეიძლება მათ შორის იმისთვისაც, რომ მეტად საჭირო დიალოგისკენ პირველი მოწოდებანი გაისმის საქართველოში რუსი ჯაშუშების გამოაშკარავების გაჩაღებული საინფორმაციო აქციის ფონზე.

TREND

# „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მინის კოშკში ცხოვრობს, მაგრამ მაინც ქვებს ისვრის

**როგორც ვწერდი 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის სამხრეთ ოსეთში, ამ კონფლიქტის გაჩაღებაში დამნაშავე ბევრია. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის წამყვანი საშუალებები კი, განსაკუთრებით ამერიკისა, ამ ომის დროს მოქმედებდნენ, როგორც ერთ-ერთი მხარის პროპაგანდის ორგანო, მხარისა, რომელიც გახდა კონფლიქტის სრულმასშტაბიან ომში გადაზრდის მთავარი დამნაშავე – საქართველოს მიხეილ სააკაშვილის მთავრობისა. ერთ-ერთი ასეთი პროპაგანდისტული რუპორი გახლდათ გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.**

ამჟამად, როდესაც ეყრდნობოდა ვიკილიკსის საიტზე ამას წინათ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, გაზეთმა გადაწყვიტა, ისროლოს ქვები ამერიკის ხელისუფლების ბაღისკენ მის შეხედულებასთან დაკავშირებით ამ ომში, თუმცა თავად დაივიწყა იმის შესახებ, რომ ცხოვრობს მინის სახლში. „ნიუ-იორკ ტაიმსს“ ეყო თავხედობა და უსირცხვილოდ გვაცნობა იმის შესახებ, რომ ომამდე და ომის შემდეგ ამერიკის საელჩო თბილისში რეგულარულად და თანმიმდევრულად აგზავნიდა დეპეშებს ვაშინგტონში მხოლოდ საქართველოს მთავრობის განცხადებებზე დაყრდნობით.

„როდესაც საქართველო ჩაერთო გაძლიერებულ დაპირისპირებაში კრემლთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავლის საკითხებზე, ვაშინგტონმა მთლიანად ირწმუნა სააკაშვილის საუბრები საკუთარ მოქმედებათა შესახებ. მეზობელ ქვეყნებში ამერიკელი დიპლომატები ხშირად იცავენ პროფესიულ დისტანციას და დაწვრილებით წერენ თავიანთი შიშის შესახებ ადგილობრივ მთავრობასთან დაკავშირებით და ამას აკეთებენ კონფიდენციალურად. საქართველოში კი, როგორც ჩანს, დიპლომატებმა თავიდან მოიშორეს ყოველგვარი სკეპტიციზმი და ენდნენ ქართველების საუბრებს მნიშვნელოვან და სადავო საკითხებზე. 2005 წლისთვის, როდესაც რეგიონი ომისკენ ექანებოდა, წყაროების მონაცემებით, რომლებიც არ იყო პირდაპირ დაკავშირებული საქართველოს მთავრობასთან, ცოტა ყურადღებას უთმობდნენ ან საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას მათ მნიშვნელოვან ცნობებს. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვერსია გადაიცემოდა ვაშინგტონში პრაქტიკულად მასთან შედავების მცდელობის გარეშე“.

მაგრამ იგივეს ომამდე და ომის შემდეგ აკეთებდა თავად „ნიუ-იორკ ტაიმსი“. ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის წამყვანი საშუალებები და ამერიკის მთავრობა მოქმედებდნენ, როგორც საქართველოს ხელისუფლების რუპორი, უარს ამბობდნენ ცივ და მკაცრ ობიექტურობაზე, რაც ჟურნალისტიკისა და სახელმწიფო ანალიზის აუცილებელი მოთხოვნაა.

ამჟამად „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ვიკილიკსის მიერ გამოქვეყნებული დეპეშებიდან ცხადი ხდება: მიუხედავად იმისა, რომ საელჩოს ჰყავდა ხალხი, რომლებიც ახსენებდნენ საქართველოს ჯარების წინ წაწევის შესახებ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, მიუხედავად ბევრი სხვა ცნობისა „საქართველოს ძალებისა და საბრძოლო ტექნიკის გადასროლის შესახებ“, საელჩო წერდა თავის „პირველ შთაბეჭდილებაზე“, რაც წარმოაჩენდა, რომ ქართველები „იმყოფებიან გაზრდილი მზადყოფნის მდგომარეობაში, ავლენენ თავიანთ „მტკიცე გადაწყვეტილებას“, თუმცა შეტევა შეიძლება მაინც არ აპირებენ. მაგრამ შეტევა მაინც მოხდა რამდენიმე საათის შემდეგ და მის ფარგლებში ხორციელდებოდა მძიმე საარტილერიო სროლები სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის საცხოვრებელ კვარტალებზე.

ომის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ, 7 ნოემბერს „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაგვიანებული ეჭვი შეიტანა მოვლენათა ასახვის თავის ვერსიაზე. მაგრამ გაზეთმა მაინც არ აღიარა, რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროპაგანდაში საქართველოს სასარგებლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნებისთვის.

და აი, ამჯერად, ორი წლის შემდეგ, გაზეთი გვთავაზობს მსხვერპლად გავწიროთ „ბუშის საელჩო“ თბილისში, რითაც ფიქრობს, რომ მიჩქმალოს თავისი პროფესიული არაკომპეტენტურობა.

„ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მიზანშეწონილად მიიჩნია, გამოაქვეყნოს მხოლოდ ნაწილი და არა ყველა ახალი ფაქტი ომის მიზეზებისა და სააკაშვილის გეგმების შესახებ. მას ჯერჯერობით არაფერი უცნობებია ჩვენთვის იმის შესახებ, რომ წელს სააკაშვილის ბევრმა ყოფილმა თანამებრძოლმა ვარდების რევოლუციიდან და კოლეგებმა საქართველოს მთავრობაში, მათ შორის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და პარლამენტის სპიკერმა, აღიარეს, რომ პრეზიდენტის დიდი ხნის მიზანი იყო საქართველოს შემადგენლობიდან გასული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნება თბილისის კონტროლს ქვეშ სამხედრო ძალის გამოყენებით. ამრიგად, ჩვენ ვღებულობთ სულ ახალ და ახალ დადასტურებებს ჩვენი ეჭვებისა იმის შესახებ, რომ საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ, აგრეთვე სააკაშვილის დაბეჯითებული პატივისცემა შეერთებული შტატებისადმი იყო ერთი გეგმის ელემენტები. სააკაშვილს სურდა მკაცრად დაეკავშირებინა ვაშინგტონისა და ამერიკის პრესტიჟი საკუთარ ბედთან და საქართველოს ბედთან, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ დარჩეს არანაირი არჩევანი გარდა თავისი სატელიტისა და „დემოკრატიის შუქურის“ დაცვისა რუსეთის ომში ჩართვის შემთხვევაში.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ კი თავისას არ იშლის“: საელჩოს 9 აგვისტოს დეპეშაში აღნიშნულია: „პრეზიდენტმა სააკაშვილმა დილით დაურეკა ელჩს და უთხრა, რომ რუსებს სურთ საქართველოს დაპყრობა და ხელისუფლებაში ახალი რეჟიმის მოყვანა“. გაზეთი აგრძელებს ცალმხრივ ინფორმაციაზე დაყრდნობას, აღწერს საქართველოს მხრიდან გაზრდილ დანაკარგებს და მოჰყავს საუბრები რუსების შეტევის შესახებ სააკაშვილის ვერსიით. სააკაშვილის მთავრობა საჯაროდ აცხადებდა იმის შესახებ, რომ ცხინვალის მიმართულებით სროლა იყო გამართლებული და მიმდინარეობდა ზუსტად გამიზნული ადგილებისკენ. მაგრამ ერთ-ერთ ამერიკის დეპეშაში აღნიშნულია, რომ, როდესაც რუსული ჭურვები ჩამოვარდა საქართველოს ქალაქ გორში, სააკაშვილმა სრულიად სხვაგვარად დაიწყო საუბარი საცხოვრებელი კვარტალის მიმართულებით მძიმე იარაღის სროლების შესახებ. მან რუსულ დარტყმებს „ნამდვილი ტერორი“ უწოდა.

ასეთი დაგვიანებული სწორი თვალსაზრისი ხუთწლიანი ომის შესახებ გაისმა მხოლოდ მოვლენიდან ორი წლის შემდეგ. ზუსტად ასეთივე აზრს გამოვხატავდი მეც ჩემს სტატიებში, აგრეთვე ჩვენი გამოცემის სხვა ავტორებიც. სხვაობა ის არის, რომ ჩვენმა გამოცემამ ეს ზუსტი შეფასებანი გამოაქვეყნა მომხდარ მოვლენებთან ერთად. უფრო მეტიც, ჩვენ მაშინ ვაფრთხილებდით, რომ არ შეიძლება ვენდოთ გამარტივებულ საუბარს რუსეთის აგრესიის შესახებ, როგორც ამას „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და ამერიკის სხვა წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ამერიკის ადმინისტრაცია ახვევდა თავს ყველას.







## დედამიწის ზურგზე



**კვალმა თვითმკვლელისა, რომელმაც სტოკჰოლმში აიფეთქა თავი, დიდ ბრიტანეთში მიგვიყვანა**

ტერორისტი რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა ქალაქ ლუტონში. მისი ბინა გაჩხრიკეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი აღმოაჩინეს. ისლამის საიტმა დაასახელა ტერორისტი: ეს არის ერაყელი და შვედეთის მოქალაქე თაიმურ აბდულ ვაჰაბ ალ-აბდალა.

* * *

**ანტრაქტიდის მახლობლად ჩაიძირა სამხრეთ კორეის ტრაილერი, დაიღუპა 5 კაცი, 17 უგზო-უკვლოდაა დაკარგული**



სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ეკიპაჟის შემადგენლობაში იყო 11 ინდონეზიელი, 11 ვიეტნამის მოქალაქე, 8 სამხრეთ კორეელი, 8 ჩინელი, 3 ფილიპინელი და 1 რუსი მოქალაქე. რუსეთელი ვლადიმერ მაშკოვი, რომელიც მეთვალყურის როლს ასრულებდა, გადარჩენილია. დაღუპულთა შორის არიან ერთი კორეელი, 1 ვიეტნამელი და 1 ინდონეზიელი.

* * *

**ვანკუვერის ცენტრში შეიარაღებულმა დამნაშავემ 10 კაცი დაჭრა**

ორი დაზარალებულის მდგომარეობა კრიტიკულია. არ არის გამორიცხული, რომ ეს ტრაგიკული ინციდენტი გახდა დამნაშავე დაჯგუფებათა მტრობის შედეგი. ვანკუვერის მერმა განაცხადა, რომ „ბანდიტური გამოხდომები მიუღებელია ქალაქისთვის“.



* * *

**ტერორისტული აქტი შვედეთის დედაქალაქში მოაწყო ერაყელმა თვითმკვლელმა**

ეს კაცი მუშაობდა „ცოცხალ რეკლამად“ იმ ქუჩის რესტორანში, სადაც მოგვიანებით მოხდა აფეთქება. ქალაქ ტრანოსის 29 წლის მცხოვრები რეკლამას უკეთებდა ტრადიციულ ბრიტანულ კერძს „თევზი კარტოფილით“. ის შვედეთში გადასახლდა 1992 წელს. ამავე დროს ბრიტანული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, თვითმკვლელი ორი კვირით ადრე მათ ქვეყანაში ცხოვრობდა.

**ვიკილიკსი – აშშ ცდილობს შეეწყვიტოს რუსეთის მიერ ვენესუელისთვის იარაღის მიყიდვა**

2009 წლის მარტში საუბრის დროს ამ თემას შეეხნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, ეს ჩანს ამერიკელი დიპლომატების დეპეშებიდან. უკანასკნელ შემთხვევაში საკითხი შეეხებოდა რუსეთის მიერ ვენესუელისთვის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გადაცემას.



# განცხადება

## სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ცხადდება კონკურსი ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებებით:

[illegible]

| [illegible] | [illegible] | ვ ა კ ა ნ ს ი ა | |
|---|---|---|---|
| | | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1 |
| | | [illegible] | 1 |
| | [illegible] | [illegible] | 1 |
| | | [illegible] | 1 |
| | [illegible] | [illegible] | 1 |
| | [illegible] | [illegible] | 1 |
| | [illegible] | [illegible] | 1 |
| | [illegible] | [illegible] | 1 |
| | [illegible] | [illegible] | 1 |
| | | [illegible] | 1 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1 |

[illegible]

| [illegible] | [illegible] | ვ ა კ ა ნ ს ი ა | |
|---|---|---|---|
| | | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1 |

### ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

| მიმართულება | დარგი / ქვედარგი | ვაკანსია | |
|---|---|---|---|
| | | აკადემიური თანამდებობა | ს/ე რაოდენობა |
| ბიზნესის ადმინისტრირება | საბუღალტრო აღრიცხვა | სრული პროფესორი | 1 |
| | | ასოცირებული პროფესორი | 2 |
| | | ასისტენტ პროფესორი | 1 |
| | ფინანსები | ასოცირებული პროფესორი | 3 |
| | მენეჯმენტი | სრული პროფესორი | 1 |
| | | ასოცირებული პროფესორი | 2 |

### საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

| მიმართულება | დარგი/ქვედარგი | ვ ა კ ა ნ ს ი ა | |
|---|---|---|---|
| | | აკადემიური თანამდებობა | ს/ე რაოდენობა |
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი | ასტრონომია | სრული პროფესორი | 1 |
| აგრარული მეცნიერებანი | მეცხოველეობა | ასოცირებული პროფესორი | 1 |
| ინჟინერია | ინფორმაციული ტექნოლოგიები | ასოცირებული პროფესორი | 1 |
| | | ასისტენტ პროფესორი | 1 |

სრული პროფესორის თანამდებობაზე 3 წლის ვადით აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება;

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 3 წლის ვადით აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლსაც აქვს 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება;

ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე 2 წლის ვადით აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან იმ უმაღლესი სასწავლებლის დოქტორანტი, ვისთანაც ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება;

კონკურსი ცხადდება 2010 წლის 6 დეკემბერს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა 2011 წლის 6 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით, კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ორი თვის ვადაში;

სრული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 800 (რვაასი) ლარით;

ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 600 (ექვსასი) ლარით;

ასისტენტ პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 400 (ოთხასი) ლარით;

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2011 წლის 6 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის I კორპუსში მისამართზე: ახალციხე, რუსთაველის ქ. № 106, ოთახი № 124.

**დაწვრილებით ინფორმაციისათვის მიმართეთ ვებგვერდს: www.akhaltsikhe.edu.ge**
**საკონტაქტო ინფორმაცია: 893 55-47-19; 877 98-77-29**

### საკონკურსო პირობები
### კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

### კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიის სამდივნოში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საბუთების მიმღები კომისიის მიერ, ან კონკურსანტს შეუძლია ელექტრონული რესურსის გამოყენება, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი);

ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი);

გ) დისერტაციის (საკანდიდატო/სადოქტორო) ავტორეფერატი;

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;

ე) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების და სამეცნიერო პრეზენტაციების (კონფერენციებზე, სიმპოზიუმზე, სემინარზე და ა. შ.) ნუსხა (ბოლო 10 წლის განმავლობაში), დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით);

ვ) იმ დისციპლინების ჩამონათვალი, რომელსაც კონკურსანტი ბოლო 5 წლის განმავლობაში კითხულობდა აკრედიტებულ უსდ-ში (დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით);

ზ) იმ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო და/ან სხვა სახის მეცადინეობების კურსის გაძღოლა;

თ) სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დარგის განვითარების კონცეფცია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონეზე;

ი) სრული და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სილაბუსები ანკეტაში მითითებულ ყველა საგანში;

კ) კონკურსანტის ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ასევე მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომელიც ხორციელდება კონკურსანტის ხელმძღვანელობით;

ლ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევის მიმართულებას და შესაძლებლობებს;

მ) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკურსანტის სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობასთან და განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში მის მონაწილეობასთან;

ნ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

ო) ორი ფოტოსურათი.

### კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

კონკურსანტის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტის) მიმართულება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვება მხოლოდ ის კონკურსანტი, ვისაც შეუძლია ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს დაუთმოს სამუშაო კვირის მინიმუმ სამი დღე.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვება მხოლოდ იმ სასწავლებლის დოქტორანტი, რომელთანაც სსიპ ახალციხის ინსტიტუტს/ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.

საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული ის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომები, რომელიც ზუსტად ემთხვევა დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას.

### კონკურსის ჩატარების წესი

კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის", უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად.

საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები და დამსახურება; ასევე საკონკურსო კომისიის მიერ (კომისიის გადაწყვეტილებით ან კონკურსანტის მოთხოვნით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს და საჯარო ლექციის შედეგები.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 2011 წლის 5 მარტისა.

კონკურსის საბოლოო შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

---

◎ წკეპლიკა

## ოკუპაციის ცნების გაფართოების საკითხისთვის

**უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ოკუპაცია (ოკუპირება) ნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავებას, ოკუპანტი — ოკუპაციის მომხდენს, ოკუპაციის მონაწილეს.**

**რასაკვირველია, რუსეთი „ზის" ამ განსაზღვრებაში, როგორც ძალით (შეიარაღებული ძალებით!) საქართველოს ტერიტორიების დამკავებელი. ახლა ჩვენი ხელისუფალნი, სააკაშვილით დაწყებული და ბაქრაძეებით, ბარამიძეებით, დარჩიაშვილებითა და სხვებითა და სხვებით გაგრძელებული, ხშირ-ხშირად თავს იწონებენ — აქაო და, დიდ გამარჯვებას მივაღწიეთ, გაეროა თუ ეუთოა თუ ნატოა თუ სხვა, თავიანთ დოკუმენტებში რუსეთს უკვე ოკუპანტად მოიხსენიებენ, ოკუპანტს უწოდებენო (ამ დროს დიდ მეზობელს სულ ხეზე ჰკიდია, როგორ მოიხსენიებენ და რას უწოდებენ, არხეინად იკეთებს თავის საქმეს: სამხედრო ბაზებს აშენებს, გამყოფ კედლებს აგებს, კონტინგენტებს ზრდის, ქართული მიწებით პირს იტკბარუნებს...).**

**მე, არამკითხემ, სხვა კუთხით უნდა შევხედო ოკუპაციის ცნებას და ვკითხო იმავე ქართველ ხელისუფალთ: ტერიტორიები, კარგი, ძალით წაგვართვეს მაგ რუსებმა და ოკუპანტებად იქცნენ; კი, მაგრამ, ამდენი სასიცოცხლო ობიექტი თუ სფერო რომ ნებსით გადავეცით, ჩავაბარეთ, მივაქირავეთ, მივყიდეთ, „მივაიჯარეთ" იმავე რუსებს, ეს რაღა არის, ამას რაღა ჰქვია? ჩამოგითვალოთ, რამდენია ის სასიცოცხლო ობიექტი და სფერო, თუ არაა საჭირო, ჩემზე უკეთ იცით, რომელია და რამდენი? როცა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შენივე ნებით აპატრონებინებ ასეთ „ტერიტორიებს" და დროებით კი არა, ლამის სამუდამოდ უფორმებ, — ეს აღარ არის ოკუპაცია, მაშინ აღარ არიან ეგ რუსები ოკუპანტები? გაფიცებთ ნაციონალურ მოძრაობას — ცხინვალის ომის მერეც რამდენი ქართული რამე გაარუსეთ და ამრიგად, გაასხვისეთ?**

**...რა დასანანია, რომ უცხო სიტყვათა ლექსიკონი არ განმარტავს, თუ რა დავარქვათ რომელიმე სახელმწიფოს შეუიარაღებელი ძალების მიერ სხვა ქვეყნის სამთავრობო ძალების ხელით მირთმეული სასიცოცხლო ობიექტების დაკავებას განუსაზღვრელი დროით!**

**...არა, რაღაც ნამდვილად საჭიროებს გადახედვას, გაფართოებასა და დაზუსტებას ოკუპაციის (ოკუპირების) ცნებაში...**

ლუკა გორგაძე

## მშვილდოსნობა

# ქართველ ჩუბინებს ეხმარება



ან იონ სეუნი კორეელია. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტი წლების განმავლობაში თავისი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა. ამჟამად იგი საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებს ეხმარება 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებისთვის მოსამზადებლად.

**საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებს ეხმარება 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებისთვის მოსამზადებლად.** 5-12 ნოემბერს სოკის ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში მან უკვე ავარჯიშა ჩვენი გუნდი ბათუმში. წვრთნის მომდევნო ეტაპს გაისად 10 იანვრიდან 10 თებერვლამდე გამართავს. მარტში აქვე მოეწყობა მესამე ეტაპი. ამ დღეებში ან იონ სეუნი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მინისტრ ლადო ვარძელაშვილს, მის მოადგილეს – დავით ნამგალაურსა და მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ მამუკა ქაცარავას შეხვდა, რომელზეც გადაწყდა, რომ საქართველოში მშვილდოსნობის სკოლა გაიხსნება.

**გივი გაგუა**

## ცურვა

# დუბაის „ცისფერ ბილიკებზე“



**დღეს არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ დუბაიში გაემგზავრა საქართველოს მოცურავეთა ეროვნული ნაკრები, რომელიც ხვალიდან 19 დეკემბრის ჩათვლით მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს.**

„ჯვაროსანთა“ თავკაცის გიორგი აზნიანიძის განცხადებით, 25-მეტრიან აუზში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ირაკლი რევიშვილი (200, 400 და 1500 მ. თავისუფალი ყაიდაძ, და გიორგი მთვრალაშვილი (100 და 200 მ. კომპლექსური, 100 მ. გულაღმა ცურვაძ.

დავძენთ, რომ მომავალი ფორუმისთვის ისინი დილით „ოლიმპიკის“ 50-მეტრიან აუზში, ხოლო საღამოს სპორტკომპლექს „ტონუსში“ ვარჯიშობდნენ.

**ანა ქაფიაშვილი,**
**საინფორმაციო სააგენტო „კაბადონი-8“.**

## კალათბურთი

# კორკოტობა დეკემბერში

**ზურაბ კორკოტაძემ უკვე გამოიცვალა სუპერლიგის რამდენიმე კლუბი, მაგრამ მწვრთნელები რატომღაც ვერ იმეტებდნენ მისთვის საკმარის სათამაშო დროს, რითაც საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში ეშლებოდა ხელი.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში, ეტყობა, ეს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრა, რადგან სტუდენტთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი თამამად ენდობა დებიუტანტს, ფსიქოლოგიური წინაღობის დაძლევა კი, მოგეხსენებათ, თუ ყველაფერს არა, სპორტში ბევრ რამეს წყვეტს.

ასეთი შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გაუწყოთ: ზურაბ კორკოტაძემ ეროვნული ჩემპიონატის VIII ტურის ცენტრალური მატჩი, რომ იტყვიან, მარტოდმარტომ მოუგო აქამდე დაუმარცხებელ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს – 94:85.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი მონაგარი შეხვედრის პირველ ნახევარში – 20 ქულა (მათ შორის 5 სამქულიანიძ. ბრძოლის განახლების შემდეგ მეტოქემ მეტისმეტად მჭიდრო მეურვეობით, თითქოს, გაანეიტრალა სნაიპერი, მაგრამ მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ ლიდერმა მდგომარეობა გამოასწორა, ზედიზედ ორი ზუსტი სამქულიანით საბოლოოდ გატეხა წელში სამართალდამცავები.



**დანარჩენი შედეგები:** „ქუთაისი“ – „სამედიცინო“ 81:75, „ენერჯი ინვესტი“ – „ბათუმი“ 74:68, „არმია“ – „დინამო“ 105:62, „სოხუმი“ – სტუ 79:57. ისვენებდა „სასოფლო“.

დავძენთ, რომ სამი ამერიკელის კვალდაკვალ ზღვისპირელებმა კიდევ ერთი ლეგიონერი – ლიტველი ცენტრალური თავდამსხმელი პიტრას ბალოჩკა დაიმატეს, რომელმაც ახალმოსახლეობა 23 ქულით აღნიშნა.

**სატურნირო მდგომარეობა:** შსს, „არმია“ – 1-1, თსუ, „ქუთაისი“, „ენერჯი ინვესტი“ – 2-2, „სოხუმი“ – 3, „ბათუმი“, „სამედიცინო“, „სასოფლო“ – 5-5, „დინამო“, სტუ – 7-7 წაგება.

**შემდეგი ტური:** „ბათუმი“ – „არმია“ (17 სთ, 17 დეკემბერიძ, „სასოფლო“ – თსუ (12 სთძ, შსს – „ენერჯი ინვესტი“ (14 სთძ, „დინამო“ – „ქუთაისი“ (16 სთძ, „სამედიცინო“ – სტუ (18 სთ, 18 დეკემბერიძ. ისვენებს „სოხუმი“.

**გიორგი შოთაძე**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ხვალ და ზეგ დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება, რითაც ოფიციალურად დაიხურება ქართული საფეხბურთო სეზონი.**

**ფარდის დაშვების წინ ჩვენმა კლუბებმა XXII ეროვნული ჩემპიონატის II წრე დაასრულეს და საშობაო არდადეგებზე წავიდნენ. გაუწყებთ XVIII ტურის შეხვედრების შედეგებს:** „ბაია“ – „სამტრედია“ 3:1, „ცხინვალი“ – „კოლხეთი“ 4:0, „ოლიმპი“ – „სიონი“ 3:1, „ზესტაფონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 3:0, „დინამო“ – „ტორპედო“ 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“, „ოლიმპი“ – 37-37, „დინამო“ – 35, „ვიტ ჯორჯია“, „ბაია“, „ტორპედო“ – 22-22, „სიონი“ – 21, „კოლხეთი“, „სამტრედია“ – 19-19, „ცხინვალი“ – 16 ქულა.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „ლაციო“ 2:1, „ჯენოა“ – „ნაპოლი“ 0:1, „რომა“ – „ბარი“ 1:0, „ბოლონია“ – „მილანი“ 0:3.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „სოსიედადი“ 5:0, „სარაგოსა“ – „რეალი“ 1:3, „ატლეტიკო“ – „დეპორტივო“ 2:0, „ბილბაო“ – „ესპანიოლი“ 2:1.

**ინგლისი.** „ნიუკასლი“ – „ლივერპული“ 3:1, „ტოტენჰემი“ – „ჩელსი“ 1:1, „ვესტ ჰემი“ – „სიტი“ 1:3, „ევერტონი“ – „უიგანი“ 0:0.

**გერმანია.** „ბორუსია“ – „ვერდერი“ 2:0, „მაინცი“ – „შალკე“ 0:1, „ბაიერნი“ – „სანკტ პაული“ 3:0, „ჰამბურგი“ – „ლევერკუზენი“ 2:4.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ – „ტულუზა“ 2:0, „ოსერი“ – „მარსელი“ 1:1, „ვალანსიენი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 1:2, „ბორდო“ – „რენი“ 0:0.

## ძიუდო

# დიდი სლემი — უმედლოდ

**გასულ უქმეებზე იაპონიის დედაქალაქმა ძიუდოში ძიგარო კანოს სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში პლანეტის უძლიერესი ფალავნები მონაწილეობდნენ, რადგან ტოკიოს დიდი სლემი** სპორტსმენებს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო ქულებს აძლევდა. **ქართველები ტურნირში 7 მოჭიდავით ჩაებნენ. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა კვარცხლბეკს ვერ უწია.**



ბეთქილ შუკვანი (60 კგძ და შალვა ქარდავა (66ძ პირველსავე წრეში გამოეთიშნენ შეჯიბრებას – შესაბამისად, ამერიკელ ნიკოლას კოსორთან და იაპონელ იუნპეი მორიშიტასთან დამარცხდნენ. ასევე პირველი წინაღობა ვერ გადალახეს თენგიზ პაპოშვილმა (73ძ და გიორგი ბაინდურაშვილმა (81ძ. მათი მეტოქეები იყვნენ უზბეკი ნავრუზ ჟურაკბილოვი და პორტუგალიელი დიოგო ლიმა.

შედარებით უკეთ წარმოაჩინეს თავი ნაკრების დებიუტანტმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81ძ და ვარლამ ლიპარტელიანმა. მათ ორ-ორ მეტოქეს სძლიეს, მაგრამ მესამე წრეში იაპონელ ტაკაჰირო ნაკაისთან და ბრაზილიელ – ტიაგო კამილოსთან წააგეს და საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდნენ, რამაც მათ 60-60 სალიცენზიო ქულა მოუტანა.

**ლექსო ცინცაძე**

## ჭადრაკი

# ახალი ჩემპიონის მოლოდინში



**თურქულ ანტაკიაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე რაუნდი იმით დასრულდა, რომ დედოფლის ტახტი გათავისუფლდა: ბოლო ჩემპიონს – რუს ალექსანდრა კოსტენიუკს ტაი-ბრეიკში კვერთხი ჩინელმა რუან ლუფეიმ დაათმობინა – ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს მან 1;5:0,5 მოუგო.** ორგზის ევროპის ჩემპიონმა კატერინა ლახნომ (უკრაინაძ კლასიკურ პარტიებში სძლია ჰუან ქანს (ჩინეთიძ 1:5:0,5. ასეთივე ანგარიშით ჰამფი კონერუმ (ინდოეთიძ ანა ზატონსკიხი (აშშძ, იუ ვენიუნმა (ჩინეთიძ ანა მუზიჩუკი (სლოვენიაძ, ხოლო ჟაო სიუმ (ჩინეთიძ ელენა დემბო (საბერძნეთი) დაამარცხა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჰოუ იფანი (ჩინეთიძ – ჟუ ჩენი (ყატარიძ 2,5:1:5, ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთიძ – ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვაძ 4:2, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთიძ – მარია მუზიჩუკი (უკრაინაძ 4:3.

**მეოთხედფინალში ითამაშებენ:** ლუფეი – დრონავალი, კონერუ – იუ ვენიუნი, ჰოუ იფანი – ლახნო, ჟაო სიუ – სკრიპჩენკო.

**ლაშა დიდია**

## ინტერნეტიდან

### მსოფლიო რეკორდი ჰოკეიზე



**მიჩიგანში სტუდენტთა ლიგის ორი გუნდის შეხვედრამ მაყურებელთა არნახული რაოდენობა მიიზიდა.** „მიჩიგანის უნივერსიტეტისა“ და „მიჩიგანის შტატის“ გუნდების მატჩი გაიმართა ამერიკული ფეხბურთის მინდორზე მოწყობილ ჰოკეის მოედანზე და მას 113 ათას 411 გულშემატკივარი დაესწრო, რაც სარეკორდო მაჩვენებელია და რაზეც შეხვედრის მესამე პერიოდში გამოაცხადეს. მატჩი „მიჩიგანის უნივერსიტეტის“ გამარჯვებით დამთავრდა 5:0.

„სტადიონზე შექმნილი ატმოსფეროს გადმოცემა შეუძლებელია, – აცხადებენ თვითმხილველნი, – თითქოს იქ ყველაზე მყვირალა ტომები შეიკრიბნენო“.

მატჩს ესწრებოდნენ გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები, რომლებმაც დაადასტურეს მსოფლიო რეკორდი.

ჰოკეის მატჩზე დასწრების ადრინდელი რეკორდი დაფიქსირებულია მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიაში. მაშინ გერმანიის ნაკრების დაპირისპირებას აშშ ნაკრებთან ესწრებოდა 77 ათას 803 გულშემატკივარი.

### პრემია მეძავებით

**ნუ გაგიკვირდებათ და ბულგარეთში ფეხბურთში ქვეყნის თასის გათამაშების მერვედფინალში ქალაქ მიკრევოს კლუბ „მალეშის“ თითოეულ მოთამაშეს, თუკი ისინი დედაქალაქის ცსკას დაამარცხებდნენ, დაჰპირდნენ 50 ლევსა და ღამეს მეძავეებთან სოფიის ყველაზე ელიტურ საროსკიპოში. ასეთი პირობა ფეხბურთელებს მისცა წყვილთა შორის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩოგბურთში გეორგი სოფკინმა.**



სამწუხაროდ, „მალეშის“ ფეხბურთელებმა ვერ გამოიყენეს ჩოგბურთელის ეს გულუხვობა. სათასო მატჩზე ერთი საათის შემდეგ ანგარიში იყო 0:0, მაგრამ საბოლოოდ დედაქალაქელებმა იმძლავრეს და გაიმარჯვეს – 3:0.

№ 232. სამშაბათი, 14 დეკემბერი, 2010 წელი.

## შაბათ-კვირის ჩანაწერები

### ქება ბაღაშვილებისა...

ნიჭს რა შეაჩერებს: ადგა ეს ჩვენი ჯემალ ბაღაშვილი და ტელეკომპანია „იმედის" არხზე ისეთი კასკას იუმორით სავსე და მხიარული გადაცემა დაიწყო, რომ, დარწმუნებული ვარ, ათასგვარი პრობლემითა და დავიდარაბით შეჭირვებულ ჩვენს ხალხს გვარიანად ახალისებს. შევცქერი ტელეეკრანს, მართობს ჯემალ ბაღაშვილის — „სტუმრად იუმორინასთან" და მე მახსენდება უნივერსიტეტის, სტუდენტობის დაუვიწყარი წლები, როდესაც საზეიმო საღამოებზე თუ სტუდენტურ ოლიმპიადებზე დიდოსტატურად აჟღრიალებდა გიტარას ჩვენი ჯემალი... ანდა, როგორ მღეროდა, რა ხმას აყოლებდა ამ დალოცვილ ინსტრუმენტს! მერე, მოგვიანებით, მოღვაწეობა სხვადასხვა ანსამბლში, მერე სახელგანთქმული „ივერია" და ჯემალის, როგორც დრამატურგის, პოეტის, მუსიკალური სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორის ნიჭის გამჟღავნება, მერე კომპანია „ლომისის" დაარსება, იუმორისტული კონცერტების — „იუმორინას" დაბადება და ჩვენი სახელგანთქმული სცენის ოსტატების ფილარმონიაში მიწვევაო... და, ასე, რამდენი რამ!..

ახლა გიაც ვიკითხოთ — მამის ალიკვალი (მეტიც, მამას რომ სჯობს), ძვირფასი გია ბაღაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ფოლკლორისტი, უნიჭიერესი, უზადო მუსიკოსი, ოჯახიშვილობისა და კეთილშობილების განსახიერება...

ჰოდა, საკუთარი პრობლემების თუ ტელეარხებზე დატრიალებული ათასი გულსახეთქი ინფორმაციის გადამკიდე, უცებ რომ „მამა-შვილი ბაღაშვილის" და მათი „დოსტების" გაღიმებულ სახეებს დაინახავ, სილაღით გაცისკროვნებულ იუმორს მოისმენ, როგორ არ შეჰყვირებ ერთხელაც ეს ამოუწურავი ნიჭის კაცი — ჩვენი ჯემალ ბაღაშვილი?..

მადლობა, ჯემალო! გახალისებული წავალ ახლა დასაძინებლად და იმედიანად გავეხვევი გაყინულ საბანში.

### მალული ცრემლი

ვინა თქვა, წასულია ჩვენი საქმეო?.. კი ბატონო, არ გვივარგა პრეზიდენტი, კი ბატონო, ოპოზიციაც არ უქნია ღმერთს, მაგრამ ქართველი კაცის ნიჭის უკიდეგანობას ეს ვერ დააკავებს... ვლინდება და ვლინდება ეს ნიჭი ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებში...

...ოჯახის წევრებმა რომ არ შემამჩნიონ, ჩემთვის, ჩუმად ვიწმენდ ხოლმე ცრემლს გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის" მიმდინარეობისას. ღმერთო, რა წიგნიერები არიან ეს ჩვენი 10-12 წლის გოგო-ბიჭები, ღმერთო, როგორ უშიშრად დგანან ისინი გადაცემის წამყვანის ნინო ხოშტარიას ურთულესი კითხვების პირისპირ... და მე მინდა ვიყვირო: აი, საქართველოო ეს არის, ძმებო, აი, საქართველოს მომავალი ეს არის, რომელიც აჭარბებს უკვე ყელში ამოსულ გაშარჟებულ კითხვას: გვეშველება რამე?..

ვინც „ყველაზე ჭკვიანის" გადაცემებს შესცქერის, ამ კითხვას არც დასვამს!

გვეშველება, ასეთი ბავშვების შემყურე, გვეშველება!

### ძირს ურა-პატრიოტიზმი!

სწორედაც რომ, ურა-პატრიოტიზმი გამოავლინა გასულ კვირა დილით ჩვენი „პარლამენტის" ვეტერანმა რეზომ. „შევლაგდით" ნელ-ნელა ალექსანდრეს ბაღში, ვყვებით ამ მთისას, იმ ბარისას და უცებ ჩვენს ყურადღებას იქცევს სატვირთო მანქანა, საიდანაც რამდენიმე კაცს ასე, ორმეტრიანი ქანდაკება გადმოაქვს და ფრთხილად დგამს ბაღის შემოსასვლელთან.

როგორც გვითხრეს, ეს უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩია, რომელმაც თავის დროზე ბრწყინვალედ დაასურათხატა „ვეფხისტყაოსანი" და ამით ქართველ ხალხს (ყველა თაობას ) დიდი ვალი დაადო. ეს ქანდაკება, თავის დროზე, გრიბოედოვის ქუჩაზე სამხატვრო აკადემიის წინ სკვერში დადგეს. ჰოდა, აქ საიდან?!.

— ვისია კაცო, ეს ძეგლი? — კითხულობს რეზო.

— უნგრელი მხატვარია — მიხაი ზიჩი, „ვეფხისტყაოსანი" გააფორმა ბრწყინვალედ...

აიმრიზა რეზო: — კარგით რა, კაცო! რა ზიჩი, რა მიჩი, ქართველი კაცის ქანდაკება რომ დაედგათ, არ შეიძლებოდა?.. ეგერ ლეონიძის ძეგლი დგას, ამ ბაღს ლეონიძის ბაღი ჰქვია და ზიჩის ძეგლი რაღა საჭირო იყო? ზემოთ სობჩაკის ძეგლი დავდგით, აქ ზიჩი დავდგათ და ვიყოთ ასე!.. ბორის ძნელაძეს რას ერჩოდნენ?!. მდგარიყო აქ მისი ძეგლი?!. ცოტა გვყავს ქართველი, ძეგლი რომ დავუდგათ?!.

აღარ ვედავები ჩვენი „პარლამენტის" აქტიურ წევრს, აღარ მაქვს კამათის თავი, ურაპატრიოტია ჩვენი რეზო და რა ვქნა?!.

### ოთარი და მისი ძაღლი

ბაღი და ძაღლები — ეს ორი მცნება შეუთავსებელია ზაზასთვის. ნერვები ეშლება, პატრონები, დილ-დილობით დიდის ამბით რომ დაასეირნებენ თავიანთ განებივრებულ, ნაირ-ნაირი ჯიშის ძაღლებს და, ერთი განახათ, რა დღეში ვარდება თუ დაინახა, როგორ მოისაქმებს ზოგზოგი, ხან ბილიკზე, ხან კოინდარზე, ხან ყვავილებში... დედა, რა გაიხარა, მერიამ რომ ბრძანება გამოსცა, მოსეირნე ძაღლებს სატუჩე ჩამოაცვით და თვალყური ადევნეთ, გზებზე და ბაღებში არაფერი დააშავონო. მაგრამ ეს ბრძანება, ჯერჯერობით, ალბათ, ძალაში არ შესულა და ძაღლებიც უპრაგონოდ დარბიან ალექსანდრეს ბაღის აღმა-დაღმა...

— ნახეთ, ნახეთ რას შვება, პატრონი კი მისჩერებია შორიდან! — მიგვახედებს ხოლმე ზაზა ჩაკუნცხული ძაღლისკენ და მის პატრონს გულიანად შეუკურთხებს. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, შაბათ დილით ჩვენი „პარლამენტის" წევრი ოთარი ძაღლით, ულამაზესი „ბალონკით". შემობრძანდა ბაღში. ვსხედვართ, პირი გვიშრება, რაიმე „ვარიანტს" ველოდებით, ზაზა წუხანდელი ნაქეიფარია და თუ რაიმე არ მოიფიქრა, შეიძლება შეწუხდეს (ასე ამბობს).

ჰოდა, აი, ოთარი... მოდის ძაღლით, საერთო სალამს ამბობს და იქვე ზაზას გვერდით დგება. ძაღლი იქაჩება, ოთარიც ცოტა უგრძელებს ღვედს და, ეგრე არ უნდაო, ძაღლი ახალდარგულ ყვავილებს ახტება ზემოდან. იფეთქა, რა იფეთქა ზაზამ — რა არის, შე კაი კაცო, გადააჯირგლა ყველაფერი, მოაცილე აქედანო. რა გადააჯირგლა, შენ ხომ არაფერი გელანდებაო, ოთარმა, დატოვე ძმაო, ეგ შენი ძაღლი სახლში, რა გააჭირე საქმეო, ზაზამ, რა შენი საქმეა, მე ჩემს ძაღლს სახლში დავტოვებ თუ ქუჩაში გამოვიყვანო, ოთარმა...

მოკლედ, კინაღამ დასცხეს ერთმანეთს. ჩავერიეთ დიპლომატიურად, ჩავუჯექით შუაში ძველ მეგობრებს, არა გრცხვენიათ, წიეო! — ბონდო ჩვამანიამ, — მიდი, შერიგების მაღარიჩი იკისრე, შენი ბრალი იყოო, — უჩურჩულებს ოთარს, — მიაბი აგერ ეგ ბალანდასაწვავი და წავიდეთ, რაღაც-რაღაცები მოვიტანოთო, — იცის, ოთარს, ნაღდად რომ ექნება ფარა.

რა ბედი მაქვს, კიდევ მე ვიკისრო კაცოო, — მოღუშული სახე ეხსნება ოთარს და კოლმეურნეობის მოედნისკენ მიჰყვება ჩვამანიას „რაღაც-რაღაცების" მოსატანად. მალე ორი მეგობრის შერიგებისა დაილია ბაღში და ზაზას „პახმელიასაც" ეშველა.

ვილენ მარდალეიშვილი

## ხელოვნება

# გურამ კარტოზია

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ კარტოზია.

გურამ ალექსანდრეს ძე კარტოზია დაიბადა 1934 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ თბილისში, პედაგოგების ოჯახში. თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1957 წელს (სპეციალობით კავკასიური ენები). იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო მომდევნო წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სწავლულ მდივნად.



1959-1962 წლებში გურამ კარტოზია სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობით ქართველური ენები (ხელმძღვანელი, პროფესორი ვარლამ თოფურია).

1963 წელს გურამ კარტოზიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიაში მეცნიერ-თანამშრომლად. 1966 წელს იგი დაინიშნა ამ კომისიის სწავლულ მდივნად, ხოლო მოგვიანებით ასევე — ამავე კომისიის მთავარი რედაქციის სწავლულ მდივნად.

1994 წელს გურამ კარტოზიამ შეთავსებით დაიწყო მუშაობა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სადაც 1999 წელს სათავეში ჩაუდგა ქართველურ ენათა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას.

გურამ კარტოზია კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიისა და „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის" სარედაქციო საბჭოს წევრი.

გურამ კარტოზიას მეცნიერული მოღვაწეობა ქართველოლოგიის რამდენიმე სფეროს მოიცავს: ენათმეცნიერებას, ფოლკლორს, რუსთველოლოგიას, ტექსტოლოგიას, ლექსიკოგრაფიას.

უდიდესი ღვაწლი დასდო მეცნიერმა ქართველურ ენათა — განსაკუთრებით ძველი ქართულისა და ლაზურის — შესწავლისა და კვლევის საქმეს. მონოგრაფიამ „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში" (2005), რომელიც გამოქვეყნებისთანავე ითარგმნა და გამოიცა გერმანიაში, სამართლიანად მოიპოვა ფართო საერთაშორისო რეზონანსი. გურამ კარტოზიას მიერ საქართველოსა და თურქეთში ჩაწერილმა ლაზურმა ტექსტებმა ორი ტომი შეადგინა (I - 1972; II - 1993). ეს ტექსტები, რომლებიც უკიდურესი სიზუსტითა და სანდოობით ასახავენ ლაზურის სამივე კილოს მეტყველებას, მოცულობით დიდად სჭარბობენ სხვა მკვლევართა მიერ ჩაწერილ ლაზურ მასალას. თუ გავითვალისწინებთ ლაზურის — თურქული ენის გარემოცვაში მოქცეული ამ ქართველური ენის — მძიმე მდგომარეობას, ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს გურამ კარტოზიას მიერ შეკრებილი ტექსტების არა მარტო ლინგვისტურ-ფოლკლორისტული, არამედ ეროვნული მნიშვნელობაც.

გურამ კარტოზიას ღრმა განსწავლულობა და კვლევის იშვიათი სკრუპულოზურობა ბრწყინვალედ გამოვლინდა მის რუსთველოლოგიურ შრომებში, რომლებიც თავმოყრილია „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებსა" (1975) და „ტექსტოლოგიურ გამოკვლევებში" (2004). შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1966 წელს მან, სრულიად ახალგაზრდამ, გიორგი წერეთელთან და სარგის ცაიშვილთან ერთად გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტი. 1988 წელს დაიბეჭდა უფრო ფართო შემადგენლობის სარედაქციო კოლეგიის მიერ დადგენილი ტექსტი, რომლის მომზადების მთავარი სიმძიმე გურამ კარტოზიამ იტვირთა. მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ მისი სახით დღეს ხსენებული სარედაქციო კოლეგიის — ქართველ ტექსტოლოგთა ამ ნამდვილი თანავარსკვლავედის — ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ წევრსაც სამუდამოდ ვემშვიდობებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გურამ კარტოზიას მიერ გაწეული შრომა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს, ტექსტის დასადგენად და გამოსაცემად მოსამზადებლად. მისი ეს ღვაწლი აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიით, რომელიც მეცნიერს სულ ახლახან, გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე მიენიჭა.

დიდი ამაგი დასდო გურამ კარტოზიამ ქართულ ლექსიკოგრაფიას. მის მიერ გიორგი გიორგიძესთან ერთად შექმნილ „საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონს" (1962, 1974) დღემდე არ დაუკარგავს ღირებულება.

გურამ კარტოზიას მეცნიერულ შემოქმედებაზე არანაკლებ შთამბეჭდავი იყო მისი პიროვნება. ეს გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი კოლეგების, მეგობრების, მოწაფეებისა და თვით ოპონენტების აღტაცებასა და გულწრფელ პატივისცემას იწვევდა. მის საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერულ აკურატულობასა და კეთილსინდისიერებას ერწყმოდა, ერთი მხრივ, მუდმივი მზადყოფნა დახმარებისათვის და, მეორე მხრივ, უაღრესი პრინციპულობა. საგულისხმოა, რომ არათუ სადოქტორო, საკანდიდატო დისერტაციაც კი არ დაუცავს, ისე მოიპოვა ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი ქართველოლოგის რეპუტაცია, და პირველად მხოლოდ 60 წელს გადაცილებულმა, უკვე ასამდე ნაშრომის ავტორმა, კოლეგების დაჟინებული თხოვნით წარადგინა დასაცავად საკვალიფიკაციო შრომა.

გურამ კარტოზია, ჭეშმარიტი შემოქმედი, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე უწყვეტად აგრძელებდა კვლევით საქმიანობას, რასაც ისიც მოწმობს, რომ თავის მოწაფეებთან ერთად შექმნილი მისი ბოლო მონოგრაფია ეს-ესაა გამოვიდა სტამბიდან.

გურამ კარტოზიამ ღრმა კვალი დატოვა ქართველოლოგიაში. მისი შრომები საიმედო ორიენტირია მომავალი თაობებისათვის. მისი გარდაცვალებით გაჩენილი ღრმა ხარვეზის ამოვსება კი ამიერიდან ახალგაზრდა ქართველოლოგთა — პირველ რიგში კი გურამ კარტოზიას მოწაფეთა — საპატიო მოვალეობაა.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია,
მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული
აკად. გიორგი წერეთლის სახ.
რუსთაველის კომიტეტი


განცხადება

2010 წლის 24 სექტემბერს ნოტარიუსს საქართველოში სოსო მუმლაძეს განცხადებით მიმართა ნინა დოჭვირის და ოლეგ დოჭვირის წარმომადგენელმა თამაზ დოჭვირმა და მოითხოვა 26.06. 2010 წელს გარდაცვლილი თამაზ დოჭვირის სამკვიდროს მიღება, დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს სოსო მუმლაძეს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 42, 2010 წლის 26 დეკემბრამდე.



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.


ედუარდ შევარდნაძე მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის
გურამ კარტოზიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ედუარდ შევარდნაძე 11.12.2010 წ.

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი მედიცინის დოქტორი
მერი ლომიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე" ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა".

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის" ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე" – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე" – 93-38-75; „პრესექსპრესი" – 96-23-11; „ელვასერვისი" – 38-80-02; „ჯეომედია" – 95-51-70; „საქპრესა" – 51-59-05; „საქპრესა+" 51-57-43; „ინფო"-2007 – 34-11-40; „პრეს+" 14-23-97.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7604 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით.
დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ის ამბავი, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 64 წელს რომი დაიწვა, ხოლო ნერონი ვიოლინოზე უკრავდა, ყველასათვის ცნობილია. სინამდვილეში ეს შეუძლებელია, რადგან ვიოლინო ამ ამბიდან 1600 წლის შემდეგ გამოიგონეს.

● ვიდრე კუკი ავსტრალიის ნაპირებს მიადგებოდა, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იქ ჰოლანდიელები – აბელ ტასმანი, დირკ ჰარტოგი და ინგლისელი მეკობრე უილიამ დამპირი იმყოფებოდნენ. ერთადერთი, რის გამოც შესაძლებელია, კუკი ავსტრალიის აღმომჩენად მივიჩნიოთ, ახალი მიწების აღმოჩენაა, რამაც ამ მხარეში თეთრკანიანთა ჩასახლებას შეუწყო ხელი.

● ის, რომ ამერიკა დამოუკიდებელი 1778 წლის 4 ივლისს გახდა, სიმართლეს არ შეეფერება. მართალია, დეკლარაციას ხელი სწორედ ამ დღეს მოეწერა, მაგრამ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა კიდევ 7 წელიწადს გრძელდებოდა და მხოლოდ 1783 წლის 3 სექტემბერს დამთავრდა, როდესაც ამერიკასა და ინგლისის მეფე ჯორჯ III-ს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო.

● ცნობა, რომ ჯორჯ ვაშინგტონი ამერიკის პირველი პრეზიდენტი იყო, სინამდვილეს არ შეეფერება. ამერიკის პირველი პრეზიდენტი პეიტონ რენდოლფი გახლდათ, რადგან სწორედ ის აირჩია რევოლუციურმა კონგრესმა. უმაღლეს პოსტზე მისი პირველი ნაბიჯი იყო ინგლისის ჯარებისგან თავის დასაცავად შექმნილი კონტინენტური ჯარი, რომლის მთავარსარდლად ჯორჯ ვაშინგტონი დაინიშნა. ჯორჯ ვაშინგტონი რიგით მეთხუთმეტე პრეზიდენტი იყო.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +10 |
| ქუთაისი. | +8 – +15 |
| ბათუმი. | +7 – +13 |
| ზუგდიდი. | +11 – +16 |
| თელავი. | +5 – +13 |

## დღის კალენდარი — 14 დეკემბერი

ხსენება წინასწარმეტყველისა ნაუმისა (VII ს. ქრისტეს შობამდეძ; მართლისა ფილარეტ მოწყალისა (792ძ; მოწამისა ანანია სპარსისა.




ამოდის 07.20
ჩადის 16.31

ამოდის 12.06
ჩადის 00.15

### დაიბადნენ:

1546 – **ტიხო ბრაჰე,** გამოჩენილი დანიელი ასტრონომი. გარდაიცვალა 1601 წელს.
1852 – **ანტუან ანრი ბეკერელი,** ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1908 წელს.
1898 – **შალვა ნუცუბიძე,** ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი, კულტურის ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1969 წელს.
1911 – **იორამ მამალაძე,** ქართველი ფერმწერი. გარდაიცვალა 1966 წელს.
1914 – **შირლი ჯექსონი,** ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1965 წელს.
1922 – **ნიკოლოზ ბასოვი,** რუსი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
1935 – **იან ტიმანი,** ჰოლანდიელი მოჭადრაკე.

### გარდაიცვალნენ:

1025 – **ბასილი II,** ბიზანტიის იმპერატორი.
1675 – **ვერმეერი დელფტელი,** ჰოლანდიელი ფერმწერი.
1799 – **ჯორჯ ვაშინგტონი,** აშშ-ს პირველი პრეზიდენტი.
1853 – **გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდი,** გერმანელი ფილოლოგი, ლურსმნული დამწერლობის პირველი ამომკითხველი.
1857 – **ჯორჯ კეილი,** ინგლისელი მეცნიერი და გამომგონებელი.
1934 – **გიუსტავ ლანსონი,** ფრანგი ლიტერატურათმცოდნე.
1962 – **ჩარლზ ლოტონი,** გამოჩენილი ინგლისელი მსახიობი.
1990 – **ფრიდრიხ დიურენმატი,** შვეიცარიელი მწერალი.

### მოვლენები:

1757 – გაიმართა ხრესილის ბრძოლა. ქართველთა ლაშქარმა სოლომონ I-ის მეთაურობით დაამარცხა ოსმალები.
1812 – რუსეთიდან განდევნეს საფრანგეთის ჯარები.
1900 – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა მაქს პლანკმა გამოაქვეყნა თავისი რევოლუციური კვანტური თეორია.
1911 – ნორვეგიელმა პოლარულმა მკვლევარმა როალდ ამუნდსენმა პირველმა მიაღწია დედამიწის სამხრეთ პოლუსს.
1927 – ბრიტანეთმა ცნო ერაყის დამოუკიდებლობა.
1934 – თურქეთში ქალებს ხმის უფლება მიანიჭეს.
1957 – გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „სახელმწიფოებს შორის სამშვიდობო და კეთილმეზობლური ურთიერთობების" შესახებ.
1960 – გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის გადაცემის შესახებ".
1993 – თბილისში დაარსდა საისტორიო ჟურნალი „არტანუჯი".
1995 – პარიზში, ელისეს სასახლეში გაიმართა ბოსნია- ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია.

მედიანიუსი

## შ ე ვ ი ძ ე ნ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

## კადრი



## ანეკდოტები

ნუ მოსწევთ სიგარას ცხენზე ამხედრებული. მხოლოდ ერთი გრამი ნიკოტინია საჭირო იმისათვის, რომ ფეხით მოგიწიოთ გზის გაგრძელებამ.

* * *

ტიპი ხელმეორედ მოვიდა ექიმთან გასასინჯად.

– აი, დღეს თქვენი ხველება ბევრად უფრო მომწონს, – ეუბნება ექიმი.

– მოგეწონებათ, აბა, რა! წუხელ მთელი ღამე ვვარჯიშობდი.



* * *

მოხუცი მდიდარი სენიორი ეუბნება თავის ახალგაზრდა საცოლეს:

– ძვირფასო, წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ მთლად ჯანმრთელი კაცი არა ვარ: მაქვს ფრონტიტიანი ჰაიმორიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, პანკრეატიტი, სტენოკარდია...

– საინტერესოა, რა არა გაქვთ, ძვირფასო?

– აწყვეტინებს საცოლე.

– კბილები...

* * *

ქმარი გრიპით გახდა ავად.

– საყვარელო, თუ მოვკვდები, ცოტათი მაინც თუ იდარდებ ჩემზე? – ეკითხება იგი ცოლს.

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, მე ხომ ნებისმიერ წვრილმანზე ვტირი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.